ნიკოლოზ კოპალიანი

გამომცემლობა „ხაბჭოთა საქართველო"
თბილისი — ქუთაისი. 1977

ნიკოლოზ კოპალიანი

და თუ სიკვდილი ფრონტზე მომელის,
მკერდნატყვიარი ვაკკაცად მსახეთ,
დარჩები შენ და შენი ნომერი
შეირჩენს ჩემი გმირობის სახელს, —
ამ ბილეთს ფლობდა კაცი, რომელიც
საზღვარს ვაკკაცურ მოკლული ნახეს.

ეს სტრიქონები ამოღებულია ლექსიდან „ჩემს კომკავშირულ ბილეთს“, რომელიც ჟურნალ „ჩვენი თაობის“ 1938 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნდა. ორნახევარი წლის შემდეგ დიდი სამამულო ომი დაიწყო, ხოლო ომის მესამე წლის დასასრულს, როცა ფაშისტურ ვერმანიაზე გამარჯვების ზეიმი უკვე მოახლოებული იყო, ამ ლექსის ავტორი, ახალგაზრდა პოეტი, კომუნისტი ნიკოლოზ კოპალიანი, — თითქოს აღნიშნული სტრიქონები ახდაო, — პატრიოტის სიკვდილით დაეცა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების სადარაჯოზე.

მას რომ სიცოცხლე დასცლოდა, დიდ სამამულო ომში გამარჯვების . ჩვენს უკიდეგანო ზეიმს რომ მოსწრებოდა, მისი ბიოგრაფია ასე მოკლე არ დარჩებოდა.

ნიკოლოზ (კოლია) დავითის ძე კოპალიანი დაიბადა 1915 წელს ცაგერში. აქვე სწავლობდა ჯერ არასრულ სამუალო სკოლაში, შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმში. ბეჯითი მოსწავლე იყო. „ზარმაცი წიგნზე თავს დადებს, ბეჯითი კი — თვალებსო“, — უყვარდა თქმა და წიგნებში ხედავდა გატაცებას, ცხოვრების აზრს. განურჩევლად ბრწყინვალედ ფლობდა ყველა საგანს. რა ამოცანა უნდა ყოფილიყო მათემატიკურ საგნებში, ის რომ ვერ გამოიყვანდა. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ხომ ბადალი არ პყავდა მთელ სკოლაში. როგორც აკადემიურად წარჩინებული და აქტიური პიონერი, 1929 წელს საზეიმოდ მიიღეს ლენინურ კომკავშირში. მას შემდეგ განუწყვეტლივ იმყოფებოდა პიონერულ და კომკავშირულ სამუშაოზე. მისი ენერგიული, ინიციატივიანი შრომა, რომელიც ყველას ანცვიფრებდა, არაერთხელ აღნიშნულა პიონერმუშაკთა თათბირებზე, კომკავშირის რაიონული კომიტეტის პლენუმებზე, კომკავშირულ კონფერენციებზე, რესპუბლიკურ პრესაში იყო თავმდაბალი, მორიდებული, თავაზიანი, მოსიყვარულე, მხიარული. თითქოს

იშვიათობას წარმოადგენსო, ყველაფერს საოცარი ცოდნით და მიმზიდველობით ფლობდა: სამხატვრო საქმესაც, სპორტსაც, მუსიკასაც... არა თუ ჩანებულად მღეროდა, არამედ თვითონაც თხზავდა ბავშვებისათვის სიმღერებს საკუთარი ტექსტებით. განსაკუთრებით უყვარდა ფანდური. ლექსების წერა კი 13-14 წლისამ დაიწყო. ლექსებს, აგრეთვე პიონერული და კომკავშირული ცხოვრების ამსახველ წერილებს, თავდაპირველად კედლის გაზეთებსა და ხელნაწერ ჟურნალებში აქვეყნებდა. შემდეგ კი გაზეთ „ნორჩ ლენინელში", ჟურნალ „პიონერში", რესპუბლიკურ რადიოგადაცემებში, უფრო გვიან წლებში — რაიონულ გაზეთში, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", თავისი მსუსხავი სტრიქონებითა და კარიკატურებით აქტიურად თანამშრომლობდა სატირულ ჟურნალ „ნიანგში" ფსევდონიმით „ნ. რახი".

1934 წელს ფრიადი შეფასებით დაამთავრა ცაგერის პედტექნიკუმი. გული თბილისისაკენ, სახელმწიფო უნივერსიტეტისაკენ ბიუწევდა, მაგრამ დედა ვერ მიატოვა: ერთი წლით, სანამ უმცროსი ძმა ტექნიკუმს დაამთავრებდა, გადაწყდა ამ წადილის ასრულება. რაიონის ხელმძღვანელებმა იგი სათავეში ჩაუყენეს საბავშვო სახლს, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ამ დაწესებულების მოწინავე ხელმძღვანელმა, ბავშვების საუკეთესო აღმზრდელმა.

1935 წლის ზაფხული. ნიკოლოზ კოპალიანმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩარიცხეს. სტუდენტობის პერიოდში იგი უახლოვდება დედაქალაქის ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, უფრო ხშირადაა მწერალთა კავშირში, ახალგაზრდა მწერლების სექციაში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. გარდა „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „ნორჩი ლენინელისა", ლექსებს აქვეყნებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიურ ჟურნალ „ჩვენს თაობასა" და გაზეთ „კომუნისტში". მიმოიხილავდა რა ჟურნალ „ჩვენი თაობის" 1937 წლის მეხუთე-შეექვსე ნომერს, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" თავის იმავე წლის 10 სექტემბრის ნომერში (შალვა აფხაიძის წერილი) აღნიშნავდა: „ლექსებიდან თავისი ემოციურობით და მხატვრული შესრულებით უნდა გამოიყოს სევ. ისიანის „მყინვარის გოდება..." ან. თევზაძის „შენი სახელი", აპ. მახარაძის „ილია ჭავჭავაძეს", ნიკ. კოპალიანის — „წიწამურთან" და გრ. ცხვედიანის — „ილიას". ან კიდევ: „საბჭოთა საქართველოში... პარტიის ხელმძღვანელობით მრავლად აღიზარდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მხატვრული სიტყვის შემოქმედთა მოწინავე რიგებში. ასეთი ახალგაზრდა მწერლები გვყვანან ახლაც. ესენი თავს იყრიან უმთავრესად ჟურნალ „ჩვენი თაობის" ირგვლივ. ამათგან, გა-

მოქვეყნებული ლექსების მიხედვით, ყურადღებას იპყრობენ მაყვალა მრევლიშვილი, ნინო ქობულაშვილი, გ. კალანდაძე, ვ. უბილავა, იოსელიანი, ანდ. თევზაძე, ვ. ლომიძე, შ. ამისულაშვილი, გრ. ცხვედიანი, რ. მარგიანი, ნ. კოპალიანი, ი. მენთეშაშვილი, ქუთელია და სხვები. მათ ლექსებში მოჩანს პოეტური ძალა. აეტორები ამეღავნებენ მოვლენათა მხატვრული გააზრების დამახასიათებელი დეტალების განჭვრეტის, ტიპიური სახეებისა და შედარებების მონახვის უნარს". (ერ. ქარელიშვილი — „ლიტერატურული ახალგაზრდობა და „ჩვენი თაობა". იხ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1937 წლის 20 დეკემბერი).

ბეჯით სწავლასა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაში განვლო სტუდენტობის ხუთმა წელმა. 1940 წელს ნიკოლოზ კოპალიანი წარმატებით ამთავრებს სახელმწიფო უნივერსიტეტს. მას წინადადებას აძლევენ დარჩეს ასპირანტურაში, რისი სურვილიც თვითონაც ძალიან ჰქონდა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო (უმცროსი ძმა საავადებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს) იგი მიეშგზავრება ცაგერში, დედასთან. აქ მას საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ნიშნავენ. მთელი არსებით ჩაება პედაგოგიურ მოღვაწეობაში, საზოგადოებრივ მუშაობაში. არ შეუწყვეტია ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში თანამშრომლობა.

ასე გაგრძელდა მხოლოდ ერთ წელიწადს, 1941 წლის 22 ივნისამდე...

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ნიკოლოზ კოპალიანს უნებლიეთ გაახსენდა კომკავშირული ბილეთისადმი, სამშობლოსადმი მიცემული ფიცი — სტრიქონები თავისი ადრინდელი ლექსიდან: „თუ მტრად მოსული ვინმე დავხელე, დავცემ, ვიდრე ზღვარს გადმოლახავდეს, თავს ვისახელებ, შენც გასახელებ". გული არ დაუდგა: მისი უმცროსი ძმა ოთარი ხომ ომის დაწყებისთანავე ჩაება ვერაგულად შემოჭრილ მტერთან ბრძოლაში. მალე ნიკოლოზ კოპალიანიც ჩადგა მეომართა რიგებში. მან აქ საბრძოლო იარაღი დაიმობილა, რათა ღირსეული წვლილი შეეტანა მტრის განადგურების საქმეში. მაგრამ კალამს მაინც ვერ შეელია, იგი სიცოცხლესავით უყვარდა — უყვარდა პოეზია, ხელოვნება... ლექსების, დღიურების წერას ბრძოლის ველზეც განაგრძობდა, ეს ჩანს ფრონტიდან გამოგზავნილი მისი პირადი წერილებიდან, რომლებსაც დაინტერესებული მკითხველი ამ წიგნის მეორე განყოფილებაში გაეცნობა, გაეცნობა და არ შეიძლება სინანული არ იგრძნოს მათი ავტორის დაღუპვის გამო.

ნიკოლოზ კოპალიანი ფრონტზე გაემგზავრა იმ რწმენით, რომ საყვარელი სამშობლო მალე დააღწევდა თავს ძნელ განსაცდელს, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განადგურებული იქნებოდ-

ნენ და გამარჯვება საბჭოთა ხალხს დარჩებოდა. ეს რწმენა მას თან სდევდა ბრძოლაში ჩაბმის დღიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. იგი ოცნებობდა გამარჯვების დღეზე, ოცნებობდა და თავისიანებს დაჟინებით თხოვდა, დედას არაფერი მოსვლოდა ამ დღისა და შვილების მოლოდინში.

1944 წელი.

დიდი სამამულო ომის მესამე გაზაფხული იდგა. ფრონტზე ყოფნის მესამე გაზაფხული იყო იგი ნიკოლოზ კოპალიანისთვისაც.

6 აპრილს მან თავის უფროს დას ნინო კოპალიანს და სიძეს დიდიმ მარგიანს ღია ბარათი გამოუგზავნა თბილისში. „შეტევის წინ, სანგარი" — წარწერილია ბარათზე. იქ მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი იყო: „ჩემო სანატრელებო! ახლოვდება მძიმე დღეების ბოლო და რარიგ სანატრელი ხართ ჩემი კარგი თბილიხითურთ!.. დამიკოცნეთ ანზორი და ნელი, მიუსალმეთ თქვენს კეთილთ, მეგობართ, იყავით მხნედ და კარგად!"

ერთი დღის შემდეგ კი, შვიდ აპრილს, 29 წლის ნიკოლოზ კოპალიანი გმირული სიკვდილით დაეცა პუშგორსკის ველზე (ფსკოვის ოლქი). მას არ დასცალდა ეზეიმა გამარჯვება, უშუალოდ განეცადა საკუთარი სისხლით მოპოვებული თავისუფლების სიხარული, სიხარული თავისი ხალხისა, რომელიც გულში ხათუთად ინახავს სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მამაცი ჯარისკაცისა და გულწრფელი მომღერლის ნიკოლოზ კოპალიანის წმინდა სახელს.

* * *

ნიკოლოზ კოპალიანი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზაციით რომ დავბრუნდი, მისი ლექსების, სხვა ნაწერების შეგროვებისა და გამოსაცემად მომზადების დიდი სურვილი აღმეძრა...

ეს მიზანი, როგორც ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, უკვე განხორციელდა; აღსრულდა პოეტის ღრმად მოხუცებული დედის ნატვრა: რა კარგი იქნებოდა, კოლიას ლექსების წიგნს საფლავამდე მივეცილებინე — ისე ჩავთვლიდი, თითქოს ორივე დაღუპული შვილი ცოცხალი მყავს და სადარდებელიც აღარაფერი მიმყვებაო.

ამასთან დაკავშირებით მინდა ნიკოლოზ კოპალიანის ახლობლებისა და მეგობრების სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისა და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ხელმძღვანელებს, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ფრონტზე დაღუპული პოეტის ნიკოლოზ კოპალიანის ლექსების წიგნის გამოცემის ესოდენ კეთილშობილური საქმე.

გიგა ყურაშვილი

ლექსები

მურის ციხე

რა კარგი ხარ, ქარაფებზე
გადმომდგარო მურის ციხევ!
ნუთუ შენი ფიქრებია,
თეთრ ნისლებს რომ შუბლზე იხევ?!
ლოდმაგარო, კლდემაგარო,
სიყვარულით ანაშენო.
ამ ხეობის, ამ მიწაწყლის
სიტურფევ და დამამშვენო.
შენს გარშემო მიჯარულა
მთა-ხეები ასერილი,
თითქო ბასრი ხანჯლის წვერით
დაჭრილი და დასერილი.
შენს ხეობას გულს უღადრავს
მოჩუხჩუხე ცხენისწყალი,
მყინვარების ღვიძლი შვილი
და მქუხარედ მიმავალი.
ფრიალო კლდეს თავქვე ჩასდევს
ვებერთელა „დევის ხვრელი".
პირღია და უცნაური,
გულში შიშის შემომგვრელი,
ზევით მთაა წამომდგარი.
იქვე გორა — ლაწუნდარის,
ცაში შუბად შეტყორცნილი
და ნისლების საბუდარი.
ამბობენ, რომ იმ შენს ხევში,
როცა მტერი ჩაიკეტა
და ჩვენს გმირებს გაუჭირდათ
ყიზილბაშთა ამოწყვეტა —

შენს კოშკიდან თურმე ხევში
გადუყრიათ ბლომად კირი.
შემდეგ მომხდურთ ჩასევიან
ვაჟკაცური დაძახილით.
და ყველანი აუკუწავთ,
თვალდამწვარი, შენაბური.
და მას აქეთ ამ ხეობას
დარქმევია თურმე მური.

1935 წ.

...და დარჩა ხსოვნა

ინგ. აკ. გოგიძეს

ლეჩხუმის მთებში ჩაწოლილი პირ-
ქუში ღამეც მოუთხრობს მხარეს
ამბავს კაკო მონადირეზე.

...და დარჩა ხსოვნა...
ცხრათვალა მზეს როგორ ვიჭერდით,
ახლა სხეული მიეხრწნება
სამარის ფიცარს...
და თუ საფლავთან მეწვევიან
გოგო-ბიჭები,
სხვა არა მინდა, ჩემს დარჩენილ
სიცოცხლეს ვფიცავ!
მაგრამ მე ერთი მომაკვდავი
მაინც ვინატრი...
რაა სადარდო, სხვა ვინ რჩება
ამ ქვეყნად ნეტავ!
ყველა მანდ მოვალთ, — ასეთია
სიცოცხლის ბოლო...
ჩვენც დაგეწევით — ნაბიჯებით

გაგვისწარ მხოლოდ...
...შენი ხაფლავი... მასთან ბევრი
ღამე ვათიეთ...
ქვა რომ ქვა არის, ქვაც უცრემლოდ
როგორ ჩაუვლის...
დღეს ავატირეთ დედაშენი,
და გვაპატიე
დედის წინაშე ჩვენი დიდი
დანაშაული...

• • •

იქნებ ვცდები, რომ მოგმართე ამით მე,
ან ამაოდ იქნებ შენკენ მოველტვი...
ჩემო კარგო, არ განრისხდე, დამითმე, —
სიყვარულმა ასე იცის ყოველთვის.

ღამეა და თითქოს ჩემ წინ თენდება,
შენზე ფიქრმა გული დანით დასერა,
ჰა, მიიღე აზრის შემოქმედება,
სიჭაბუკემ რაც ამ ხელით დაწერა.

არ მეგონა შენზე თუ იმღერებდა
ეს გული და ჩემი განცდა ულევი.
არ მიიღო გამხმარ ჩალის ღერებად
ჩემი ყრმობის ეგ თქმა ნამარხულევი.

ხშირად, კარგო, სიხარულიც მრგებია, —
როცა ჩემკენ შენი ღიმილი მოვა;
მაგ თვალები ჩემი ფიქრის გემია,
ფიქრები კი — მღელვარ ტალღების გროვა.

1935 წ.
ღაილამი.

მაკივები ერთი ლექსიდან

....ირხევა ფიჭვის, ნაძვის ხეები
და გრილი სიოს ტალღა მოგორავს.
ჩემი სიცოცხლის ტკბილი დღეები
ხომ შენთან დამრჩა, კარგო გოგონავ!

როგორ მეგონა ამ გულს დაჭრიდი,
ან მიიღებდი ფერისცვალებით...
ახლა მარტოდ ვარ ტყეში ეაჭრილი,
აქაც მაწვალებს შენი თვალები.

მე სიხარული ყველგან მაქებდა,
ახლა კი რა ვარ, — გამხადე ლეში...
ან არ დამედგა ფეხი მაქეთ და
ან არ მენახე ჩემს სიცოცხლეში...

1935 წ. აგვისტო,
ბორჯომი.

ნეტავ

ახლა აქა ვარ, დაგტოვე. ეოგო,
წამომყვა შენი სხეულის ჩრდილი,
შენი თვალებით ნაისრი გული,
ნეტავ იცოდე, მაოცებ როგორ,
როცა ჩემს გულში ესოდენ ზრდილი
ცდილობ დააჭკნო ტრფობა დარგული..

მაღლიდან ფიფქი მოდის პეპლებად,
მარტყია ნისლი და ხშირი თოვა, —
მეც გადამრიოს სიჩუმემ ლამის...
ნეტავი ვგრძნობდე, თუ იფერფლება
ჩემგან შენდამი მოძღვნილი ტრფობა,
ანდა ვინ არის მიზეზი ამის?

...მე კი ისეთი დამრჩა განცდები
მანდ გატარებულ ტკბილ ღღეებიდან,
რომ შენც ფიქრობდი ჩემზე, მეგონა.
და როცა, ალბათ, დაევაჟკაცდები,
თავს გამოვიყვან გაკვირვებიდან, —
რატომ ვეძებდი შენში მეგობარს.

...თითქოს მარილობენ ოთელის ფიფქები
და მომითხრობენ ზეცის ხვაშიადს, —
ნეტავ გაზაფხულს ჩამომყვანდნენ...
მხრებზე მაწვანან შენსე ფიქრები, —
ხომ არ მოახვევ გულს შავ არშიას,
თუმც ჯერ ვერც კი ეგრძნობ, რომ არ გიყვარდი.

1936 წ.
ცაგერი.

მზად ვართ მუდამ...

ღვაზუმში, მურის ხეობაში ღღეგდე შემონახულა სამი ისტორიული ციხე-ყოფილი: „ჰკა-მაგას“, „მაგრად დახედი“ და „არ გაუშვა“. ისინი მტრისგან კარშეუვალნი იყვნენ.

მურის კლდეთა ქარაფებზე
სამი ციხე გადმომდგარა.
ო, რამდენი ხვაშიადი
იმათ ჩვენთვის ღაუფარავთ.

ციხეები „მაგრად დახედი“,
„ჰკა მაგას“ და „არ გაუშვა“,
რისხვა იყო მიმხდურთათვის,
გულს უკლავდა მტერს და დუშმანს.

თუ ძველ ხიდთან მტრის შეტევით
შედრკებოდა მტრის სანგარი,

ციხე-კოშკი „მაგრად დახვდი“
მტერს ხვდებოდა გულმაგარი.

მაგრამ როცა რკინის ალყა
მებრძოლ ციხეს გათანგავდა,
„ჰკა მაგასო“ — დაძახილი
მოძმე კოშკის მთებსაც ძრავდა.

თუ ამ ციხე-გალავნებთან
ველარ ძლევდნენ მომხდურს გულშავს,
მეზობელი ციხე-კოშკი
დასძახებდა — „არ გაუშვა“.

„არ გაუშვა მტერი უნდო“ —
მთაც იძახდა გულაღგზნებით,
და გაქცეულ მტერს მიჰყეფდნენ
ციხე-კოშკის ზარბაზნები.

ციხე ციხეს გვერდში ედგა,
როგორც კაცი შენაფიცი,
იყვნენ მტრისგან შეუვალნი,
დულაბივით შენამტკიცნი...

დღეს კი ჩემი გმირი ხალხი,
გამარჯვებით ბედნიერი,
დიდ ბელადის ნაამაგარს
და მშვიდობას რომ უმღერის,

ასე ამბობს: დე, ესმოდეს
ყველა მომხდურს, მტერს და დუშმანს:
მზად ვართ მუდამ, მტერს რომ დავკრათ,
მაგრად დავხვდეთ, არ გავუშვათ!

1937 წ.
ცაგერი

საახალწლო წერილი დედას

გახსოვს? „წასვლა და ნულარც მოსვლაო“
ეტყოდი ძველ წელს ბაგერხეული;
იყავი ამ დღეს ლხენით მმოსავი,
თუმც ჩანდი სევდით გულჩახვეული —
ზამთრის ავდრიან საღამოსავით.

დაგვირიგებდი დილით ტკბილეულს:
— დამიბერდითო, შვილებო, ასე...
გაიზარდენით, ღაწვებმილეულს,
რომ მეც მარგუნოთ დღე ლხენით სავსე.

მალე შენც მიხვდი, რა ცრუ ყოფილა
გაწვდილი ხელით ცისკენ ვედრება;
ოქტომბრის დღემდე არ გაყოფილან
ჩვენი კერა და ბედის ყვედრება.

ახლა ტკბილია ახალი წელი,
ნაძვის ხეც შუქით ანთებულია,
მოაქვს ცხოვრებას ოქროს ფურცელი,
რადგან პარტია ჩვენი გულია.

მან ქვეყანაზე სიკეთე დარგო,
დარგო ხალხების ძმური დანდობა.
დედავ, შენ ტკბილი სიბერე გარგო,
მე კი — ლამაზი ახალგაზრდობა.

1937 წ.

წიწამურთან

მეხის ქუხილი რომ შემოგესმა,
ქართლზე ფიქრობდი მაშინ იქნებ და...
რას იაზრებდი, ვინმე ოდესმე

შენს სასიკვდილოდ ხელს გაიქნევდა,
ტყვია მოგარტყეს, შეგაწყვეტინეს
ჩუმი ბაასი მაღალ ფიქრებთან.

თვალცრემლიანი დატოვე ვაჟა,
აკაკიც დარჩა ობოლ სანთურად,
ატირებულან, მშობლიურ ლაჟვარდს
რომ მოგაშორეს მუხანათურად,
მიწაში ჩაფლეს შენი სახელიც,
დღეს რომ აღმდგარა და გამართულა.

შემოიღრუბლავს გულს წიწამური
და მოგონება თვალებს დანამავს;
ქვეყნის ვარამის მხრებით ამტანო,
დიდება სისხლში ვინ აბანავა,—
ბრალია დღენი ლოდქვეშ ატაროს
ხალხის მესიტყვემ შენისთანამა.

გიგონებთ გმირს და დიდებულ მგოსანს,
გზაზე დაცემულს ვერაგის ხელით;
ნეტავ დაგცლოდა ჩვენამდე მოსვლა,
შენი სამშობლოს გენახა მხსნელი,
რა სიყვარულის დაფნებით გმოსავს
დღეს საქართველო თვალგანახელი.

1937 წ.

გახსოვს ის ღამე?

— არა, „მშვიდობით", — არ გეტყვი, გოგო,
ისევ გნახავ და ისევ ნახვამდე...
ვნატრობ ჩემს სახელს — შენსას მე როგორც—
სამარადჟამოდ შეინახავდე...

გახსოვს ის ღამე? გული გაცივდა,
შენზე ფიქრები მაინც გარს მერტყმის,
როცა მზე ისევ ცხრათვალობს ციდან,
შენ რად მარგუნე გული ნასეტყვი.
დავდუმებულვარ, ვის რა შევჩივლო,
ან ვის რა ვუთხრა, ან ვინ რას მეტყვის.

1937 წ. სექტემბერი,
ცაგერი.

დილა ბანაკად

გადაიხსნა ცამ მანდილი,
ცას მზიური ღიმი შვენის,
ან არა მქნა, ან ამ დილით
შემახვედრა სახე შენი.

შენი სახე შემახვედრა.
გულს რომ ათბობს მზეზე უფრო,
გითხრა — ნეტავ მომცა ხვედრად,
რომ მე ერთი დაგეუფლო.

მაღლა არ ჩანს ღრუბლის ბინდი,
ცა კრიალებს და დღე დარობს.
გაკრიალდეს, ამ სიწმინდით
შენ მაინც ვერ დაგედაროს!

1937 წ.
ავჭალა

ასრულებულა მისი წადილი

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

ისე გაშორდა ლამაზ სამშობლოს,
მის ხმელეთს ყვავილ-ნარგიზებიანს,
არ ღირსებია ცრემლის დაშრობა,
ტკბილი სიმღერა არ ღირსებია.

ენატრებოდა კრიალა ზეცა.
პირზე ვარსკვლავებგადაფანტული.
დასტრიალებდა სამშობლოს ბედსა
მისი ომახი ხმა და ფანდური.

თმებს უბარდნიდა მთების ნიავი,
ქართული ღამე ესხა ნაბადად.
ჩარგალის მიწამ გულმადლიანმა
ხალხის მომღერლად იგი დაბადა.

შებინდებისას მგოსანი მისებრ
იწყებდა ზეცის თაღების ზვერვას.
სამშობლოს ცაზე მოწოლილ ნისლებს
აფრთხობდა მისი ცალთვალა მზერა.

ერთზე ფიქრობდა გარეთ და შინაც
მშობელი მხარის ბედის მისანი.
აყოვდებაო, — იტყოდა ხშირად,—
ყოილნი ჩემნი ივერისანი!..

ასრულებულა მისი წადილი —
წინ გვაქვს ქვეყანა, ბაღს რომ ედრება.
რბიან და რბიან წელიწადები —
ახალ სიხარულს რომ გვახვედრებენ.

ეს სიხარული პოეტსაც იწვევს —
ვერ დაივიწყოს იგი ვეროდეს!..
ბრალია — ვაჟა საფლავში იწვეს,
ბრალია — ახლა ის ვერ მღეროდეს!..

შებინდებისას მგოსნის საფლავთან

დღე რომ კალენდარს ფურცელს შეახევს,
მთაწმინდაზე რომ მოვა დაისი,
ნიავი ჩანგის სიმებს შეარხევს
და მიმზიდველი ხმები გაისმის.

უხმობს აკაკის — გნახო მინდაო,
რომ გააგონოს, ხმას არ იშურებს,
ტკბილი ჰანგები ფარავს მიდამოს,
მთაწმინდის სიო აშარიშურებს...

უხმობენ — ჩვენთან რად არა ხარო —
სიოს რხევა და მღერა ჩონგურის,
უხმობენ — ახლა რომ გაახარონ
მუდამ მწუხარე და გათანგული.

...სადღაც თვალს ახელს მწვანე რტოებთან
მთვარე—ლაჟვარდის მანდილოსანი...
ჩანგი ეძახის...
საფლავს ტოვებს და
მაღლა ამოდის ლანდი მგოსანის.

ჭაღარა ისევ თეთრად ღაღანებს —
კავკასიონი ახლად ნათოვი,
თვალები ისევ ბნელეთს დაღაევენ —
ჩაუქრობელი ორი მნათობის.

გახედა მხარეს, ეძებს საწინდარს,
რომ მოაგონოს მისი ცხოვრება.

.იცნო მთვარე და იცნო მთაწმინდაც,
თბილისი მაინც ეუცხოება.

თითქმის ხმელეთზე აღარ ეტევა,
გაზომა თვალით სივრცე ქალაქის, —
რამ დააყარა მარგალიტებად
ზეცის სიუხვე ასე ბარაქით!

რამ გაუბრწყინა ვარსკვლავთ ამალა,
ხალხს ვინ დაუშრო ცრემლის გუბენი.
ხელი ვინ გაჰკრა ზეცის კამარას,
ვინ მოაშორა შავი ღრუბელი?

ვინ აუყვავა მგოსნის ქვეყანას
მთები, ველები, ხევი, ფშიარა...
პასუხად თბილის-ქალაქის თავზე
ოქტომბრის დროშამ შეიშრიალა.

1938 წ.
მთაწმინდა.

ამბავი ერთი სადღეგრძელოსი

(ხასანის მსხვერპლის ხსოვნას)

ყური დამიგდეთ, ხალხის ძენო და
ქვა-ხე-ბუჩქებო ამ რბილ მდელოსი.
ვთქვა სუფრის მორიგ სადღეგრძელოსთან
ამბავიც ერთი სადღეგრძელოსი.

იყო ვაჟკაცი — ხალხმა გაზარდა
მიწის ვეფხვად და ზეცის არწივად,
ჩვენ აქ ვლხინობდით, როცა ხასანთან
მან სამშობლოსთვის თავი გასწირა.

ედგა გუშაგად რკინის მხარბეჭით
ქვეყნის სიხარულს, დღეებს დარიანს,
ყანწის მაგივრად დროშა ეჭირა
და ღვინოდ მტრების სისხლი დალია.

თავის სიცოცხლით მან სადღეგრძელო
უთხრა ქვეყანას, მშობელ მთა-გორებს.
მისი საფლავი არსად ეძებოთ,
იგი ჩვენთან დგას, ბრძოლებს გვაგონებს.

იგი ჩვენთან დგას. გაშლილ მკლავებით
გვიყვება სწორებს ხასანის ამბავს.
ყურს უგდებს ზეცაც და ვარსკვლავებით
გმირის ნაამბობს ლაჟვარდზე სტამბავს.

•გი ჩვენთან დგას, დიდების ღირსი,
სუფრის ღირსეულ ადგილს მფლობელობს.
ჯერ სადღეგრძელო დავლიოთ მისი,
შემდეგ დაგვილევს სამადლობელოს.

ᲓᲔᲓᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕ!

(ესპანელი ბავშვისადმი)

ტყვიის ზათქი გაგაღვიძებს,
ეძებ ირგვლივ დედის თვალებს;
ვერ პოულობ და სახეზე
გადაგივლის სიფერმკრთალე.
იგი ფრონტის მებრძოლია,
დაიძინე, მოვა მალე!

შენს ტოლებს და შენ სხვა გიელის
დედასავით ტკბილი, ნაზი.
შენ რა იცი, დედაშენი
სახლში შენთან რატომ არ ზის,

შენ რა იცი, შენი მშობლის
იბარურთან წასვლის აზრი.

ყვავ-ყორანი ქვეყნის ზღუდეს
დაღავღავებს, ფრთებს იკეცავს;
გულში ავი ზრახვა უდევს,
თვალებიდან ცეცხლი კვესავს,
განუზრახავს დააბნელოს
ესპანეთის ლურჯი ზეცა.

ვნატრობ — იყო ისე დიდი,
რომ ბრძოლაში მამებს სცვლიდე,
ფრონტზე გასულ მშობელივით
ქვეყნის ვარამს განიცდიდე,
ნეტავ გრძნობდე, რომ ასეთ დროს
სახლში არც შენ მოიცდიდი!..

... მუქ ღრუბლებში სძინავს მთვარეს,
შენ იძინე ისევ მშვიდად...
დილით, როცა ცისფერ თვალებს
გახსნი, მოვა დედა შინ და
გამარჯვებას მოგილოცავს
შენ საჩუქრად ქარიშხლიდან!

1938 წ. მარტი

ჩემს კომკავშირულ ბილეთს

გამოგვივლია წლები ამდენი,
ერთად გავიართ კიდევ წინ სავალს,
ერთად დაგვათოვს დღეთა ფანტელი,
რითაც გამიცან, ისევ ისა ვარ,
შენც ისევ ის ხარ, ის ჟრუანტელი,
როცა მიგიღე ხუთმეტწლისამა!

შეეხარით მშობელ ხმელეთს, ლაჟვარდებს
და სიფხიზლეზე მანთებ, მამხნევებ,
ჩემს უკანასკნელ გარიჟრაჟამდე
თუ მტრად მოსული ვინმე დაეხელე. —
დავცემ, ვიდრე ზღვარს გადმოლახავდეს,
თავს ვისახელებ, შენც გასახელებ!

და თუ სიკვდილი ფრონტზე მომელის,
მკერდნატყვიარი ვაჟკაცად მსახეთ,
დარჩები შენ და შენი ნომერი
შეირჩენს ჩემი გმირობის სახელს,—
ამ ბილეთს ფლობდა კაცი, რომელიც
საზღვარს ვაჟკაცურ მოკლული ნახეს.

დარჩები შენ და, შენი ჭირიმე,
ეს სიხარული ჭაბუკს მაწვიე.
ხალხს უთხარ, როგორ შემიწირია
ქვეყნისთვის ყრმობა და სიყმაწვილე,
მისთვის ვაჟობა და სიყმაწვილე.
გმირობა როგორ გავინაწილეთ!

1938 წ. დეკემბერი.

ბელადის სურათთან!

ნათელი ოდის კედლიდან
ასე თბილად რომ მიღიმი,
ნეტავ აქ იყო, გასმინა
ლეჩხუმელ ბიჭის ღიღინი!

შენზე ვიმღერებ. რადგანაც
მაღლა შენი ცა მახურავს,
ჩემი ბავშვობის ზამთარმა
შენი მზით გაიზაფხულა.

რამდენს აჩუქე მზის სხივი,
ქვეყნად ცხოვრება სალხენი,
ვინ მოთვლის ქვეყნად რამდენმა
ადიდა შენი სახელი.

გეტრფიან ჭაღაროსნები,
ეისი სიცოცხლეც გიხსნია,
გმირული ახალგაზრდობა
შენი მოდგმა და სისხლია.

ხალხის გული ხარ, ხალხი კი
შენი ფარი და ხმალია,
შენი ზრუნვით და ალერსით
დღეს ყველას გაუხარია.

იხარე, ვერვინ დაგძლიოს...
მტრის ხელი თუ აიქნევა,
ეს გულიც შენს დასაცავად
მილიონ გულთან იქნება.

ჭაბუკი მტკიცედ დავხვდები
ტყვიას ტყვიაზე მიჭრილსა,
შენთვის წავიდეს სიცოცხლე
ერთი ლეჩხუძელ ბიჭისაც!

1938 წ.

ᲐᲙᲠᲝᲡᲢᲘᲮᲘ

აქაც არიან შენი ხნისანი,
სინაზეც კი აქვთ, თუმც ფერწასული,
მაგრამ მათ შორის მე ვერ ვიცანი
ამ გულის ტოლი ერთი ასული.
თუ გსურს იცხოვრო, კარგი ის არის —
იყოს მარადი ჩვენი წარსული.

1938 წ.
თბილისი.

ცხოვრება, თურმე, არ გინახია

(მოხუცი სვანი — რევოლუციამდე დაღუპულ შვილს)

დამბადებოდი ოქტომბრის შემდეგ,
გენახა დღეთა სიტკბო. ალერსი.
ბიჭო! წავიდა დრო, როცა გდევდნენ.
როცა მიენდე ხანჯალს ალესილს...
რა იქნებოდა გეცოცხლა დღემდე!

კერას მზიანი დღეები უდგას.
მზე არის გარეთ, მზე არის შინაც.
შენ კი სიზმრებში გიცქერი მუდამ,
ისე აყვავდა სიცოცხლე, შვილო,
რომ გულს მარადჟამს სიცოცხლე უნდა.

ხარობს ქვეყანა, შენ რომ დატოვე, —
გამხარებელის გულმა იხაროს!
სიცოცხლეს შენებრ როდის დარდობენ, —
ნეტავ განახა, რომ შენი მხარის
ვაჟები ცაში დანავარდობენ!

შევხედავ ბიჭებს, ხნით შენოდენებს,
(მომაგონდები მაშინ მეტადრე),
რომ იმშვენებენ მკერდზე ორდენებს.
მათ გვერდით, შვილო, შენც მომენატრე.
ნეტავ გხედავდე ჩემკენ მორბენალს!

ნეტავ გელოდე ჭაბუკს მაღლიდან,
მოტორს მართავდე გულგატაცებით.
ჰაერში ფრენა შენც ვერ დაგღლიდა,
ქვეყნის საზღვრებთან იეაჟკაცებდი,
მტერს შეზარავდი ზეცის თაღიდან.

სადღაა ის დრო, მზეს რომ გილეედა,
შენზე რომ მარგო ცრემლი და ოხვრა.

გეცოცხლა — ახლა იყვავილებდა
შენი ბავშვობა მკერდნაოხარი,
რადგან ქვეყანა ლხენის ბაღია.

დარდი ცხოვრების ტრფობამ დახია,
სასიხარულოდ ხალხი აშლილა,
გულში ულევი ძალა მარხია...
ამდენი გზარდე და მაინც, შვილო,
თურმე ცხოვრება არ გინახია!

1939 წ.

მაინც ერთად ვართ...

გახსოვს ლეჩხუმი, მთა, ცხენისწყალი,—
რომ გვიზიდავდა გიჟმაჟ ჰატარებს?
ქალაქს წამოსულს წყალმა — სისწრაფე,
მთებმა — სიმკვრივე ვამოგატანეს.

მოსულხარ... სოფლის ცელქი ბიჭისგან
წამოგყვა ტრფობა გაუმხელელი, —
რამდენჯერ ხეზე ამომიჭრია
შენი სახელი ბავშვურ ხელებით.

შემდეგ დავშორდით... წლები გასულან,
დღეს გაოცებას გული ვერც იტევს —
შენ გისწავლია ფრენა, ასულო,
მე კი ვამთავრებ უნივერსიტეტს.

ზეციდან უმღერ მშობელ მთა-გორებს —
„მე შენი ვარ და შენ ჩემი ხარო“,
იმღერე მუდამ, — კვლავ გამაგონე,
აგრემც ქვეყანას შერჩები, ქალო!

კვლავ დამანახე ზეცის ლოყაზე
გიშრის ხალივით ამობრწყინება,
ათიათასჯერ წრე შემოხაზე, —
მე შენი მზერა არ მომწყინდება.

იქნება გიკვირს — მკითხავ, რად არის
შენზე ოცნება დაშარბათული, —
როცა სხვა გიზის გულის ბადალი,
როცა სხვასთან ვარ ტრფობით გართული.

მკითხავ — ეს მღერა ნეტავ რამ შობა,
გულს შენზე ფიქრებს რატომ არ ვუშლი?
— ჩვენს თავზე მეტად გვიყვარს სამშობლო,
ერთად ვართ უფრო დიდ სიყვარულში!

1939 წ. თებერვალი,
თბილისი.

გალაკტიონ ტაბიძეს

შენი ლექსების სითბო მინახავს
და დღეს კი გავხდი შენი მნახველი.
ყრმობის წლებიდან შემოგვინახავს,
პოეტო, გულში შენი სახელი.

გვახსოვს: წარსულში ბრძოლით იარე.
მაგრამ გზები არ გამოგიცვლია.
და ოქტომბრის მზეს რომ ეზიარე,
ჩვენი ცხოვრება მაშინ გიცვნია.

წინათ გტანჯავდა ქვეყნის წარსული.
და რომ დარდები გადაგეყარა,
გვესმოდა შენი ხმა გაბედული:
„დაჰქროლე, ქარო!“... „დროშები ჩქარა!“

მალე დროშებმა ფრთების დარხეეით
გამართეს ძირს და ცაში მარულა,
მზეს მოვაშორეთ შავი თალხები
ჩვენი სამშობლოს სასიხარულოდ.

ახლა მზე ნათობს, ბნელი გამქრალა,
„რადგან მშრომელ ხალხს ასე ენება“,
მშრომელი ხალხის გამოჩნდა ძალა,
„გაშუქდა დიდი ბედნიერება“.

„გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია“,
გახსოვს? ამბობდი: „ქვეყნად ღიმილი
შეხედეთ, ახლა რაოდენია“.

„ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო
რა ერიამული გადაიჟღერა?“
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
„გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“.

აჰა, შეხედე, რარიგად ვმღერით,
„რიგორ ანათებს დროების თვალი“,
და რარიგად ჩანს დღეს მშვენიერი
ჩვენი სამშობლოს მხნე მომავალი.

1939 წ.
თბილისი.

და ბოლოს შენთან

დადგა ახალი წელი,
შევხვდი პირველი მგზავრი,
ისევ აქა ვწერ წერილს
და ისევ შენკენ ვგზავნი.

არის ბარაქით თოვა,
ცის ფერიების ცვენა.
ერთხელ იქნება მოვალ,
თუ გაიხარებ შენაც.

ახლა არ ვიცი რა ვარ,
მდაღაავს დარდების გროვა.
კიდევ ვიცოცხლებ მრავალს
და ბოლოს შენთან მოვალ.

კიდევ ვიცოცხლებ მრავალს
უჩვევ ბუნების მჩენი.
ქების ოლიმპზე ავალ
და მაინც შენი ვრჩები.

და თუ პროსპექტზე მნახავ,
მქონდეს გაწვდილი პეშვი,
განმიკითხავდე გლახაკს
შენი თვალების ეშხით!

1939 წ. 1 იანვარი.

ოთარს

ისევ ისეა ჩვენი მინდორი
ვარდებით, კრუხით და წიწილებით.
ცა ისევ ტირის უამინდობით,
მოაქვს ბავშვების აწიწინება.

ზოგჯერ მიდამოს ბალახავარდნილს
ქორი დაჰხედავს ოხერტიალი,
გასძახებს დედა, თავის ყავარჯნით
ეზოს დარაჯად მოხეტიალე.

მაინც წყეულმა მოგვტაცა გუშინ
თავაქოჩრილი ერთი ნაცარა.
კრუხმა ტკივილი რომ იგრძნო გულში,
მან ჩემი მშობლის გულიც დაცარა.

გაუჯავრდება ფიქრს დედაჩემი.
მაინც ღონდება, ღონდება ეგზომ.
შენ, კარგო, ისევ იქეთ დარჩები?—
ერთი წიწილი აკლია ეზოს!

აქეთ მოგვხედე. აგრემც იხარე,
დაგვიანება სიმშვიდეს გვართმევს.
გიცდით, მოგელით ამდენი ხანი,
დედის წვალებით გაზრდილო მართვე.

1940 წ
ცაგერი.

მე თვითონ მივალ!

„გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევ ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო".

ხალხური

ნურც ულამაზეს ლაჟვარდს გასცურავ,
ნურც წყალს გაჰყევი, შავო მერცხალო!
თუმცა ომშია უკვე გასული
ჩემი ძმა ულვაშ-შეუვერცხლავი;

დავემშვიდობეთ თბილად ურთიერთს,
ტკბილი შეხვედრა დავთქვით ხვალისად ..
შემდეგ ვინ იცის სად არ უთია
ღამე სიმტკიცეს ჩვენი მხარისას?!

ვიცი საზღვარზე იდგა გულგაშლით.
სძულდა ლაჩრობა. ეგზომ ნაძრახი,
ვიცი უსმენდა სოსო ჯუღაშვილს,–
სამშობლოსათვის მამაც დაძახილს.

უსმენდა მას და თვითონ ვიგრძენი,
როგორ გრგვინავდა მტრების მსახვრელი,
ბევრს შეუმოკლა დღეთა სიგრძენი –
სტალინისა და ქვეყნის სახელით.

... შავო მერცხალო. არ გთხოვ გაფრენას
ჩემი ძმის ამბის შესატყობადა,
მასზე იციან დღეს ყველაფერი
ჩვენმა აწმყომ და ჩვენმა მყობადმა.

თვითონ გავყვები, ჩემო ფრინველო,
ველებს – ალაზნის წყალით შეცვარულს,
მე სახლიკაცი თვითონ მიმელის,
რომ დაცემული სწრაფად შევცვალო.

შენ კი, მალხაზო, სჯობს აქვე დარჩე.
დაისაკუთრო კუთხე აივნის,
ჩემს გმირობაზე უთხარ დედაჩემს,
შენს ბუდესთან რომ ახლოს გაივლის!

არ დამივიწყო გულის მეტოლეც,
მთლად შენი ფერის თვალები რომ აქვს,
ხალხს გამოადგეს, კარგად მეყოლოს,
მის ძღვნად ვაჟკაცის სახელი მომაქვს!

1941 წ. 28 აგვისტო.

ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ხშირად გაეყვები
ფიქრთა ქარავანს,
ეჰ! ჩემი ბედი,
ცამ აგარიდოთ
მოშორებული
სახლს და ტალავარს,
მეც ვიბრძვი სხვების
სამაგალითოდ...

როგორც ეული ბერი ხეივნებს,
გაეყვები ფიქრებს,
ხეცას დაეიარ...
ო! საქართველოვ!..
განა ვიხილავ
შენს მთებს, შენს კოშკებს,
თერგს და დარიალს?

1942 წ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲘᲮᲛᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲜᲐᲢᲠᲝᲑᲓᲘ

გიგა ყურაშვილს

როგორ გიხმობდი, როგორ გნატრობდი, —
ნათელ დღეს ჰკითხე, ღამეს განათევს.
მე შენ გეძებდი, ბიჭო, მარტოდენ,
მე შენ გელოდი, — არა ბარათებს!

...რად მომაგონე, რა დღენი გვქონდა
სიცოცხლით კიდევ მრავალწლიანებს?
გარდასულ დღეთა ამწერ სტრიქონით
რა უცნაურად ამაწრიალე!

ახლა ბავშვივით მომენატრება,
დედის მსურველი თოთო ბავშვივით,
ჩვენი ლეჩხუმის მთები, ტატნობი
და გაზაფხული ფოთოლგაშლილი.

მომენატრება „ვარალალო“ და
„რისთვის ტიროდნენ თუში ქალები“.
მომენატრება — ცა რომ ლალობდა
და შარა, ჩვენგან ნაგრიგალევი.

ხან გრგვინვით, ხანაც განაბებითა
ვსდევდით ოცნების ლამაზ ქიმერებს,
ხან ქუთაისის დარაბებიდან
გადავჰკიოდით ჰანგებს იმერეთს.

ჰე რა დრო იყო! დარჩა სილაზე
ჩვენი ბავშვობის ნაოცნებარი,
ლურჯი იების თელავს სინაზეს
ატეხილ დღეთა საოცრებანი.

რარიგ მომწყურდა შენი დანახვა,
რომ გამიმთელოს გული ნასეტყვი.
ჩემთან არა ხარ, გვერდით არა ხარ
და შენს მაგიერ ქაღალდს რას ვეტყვი!

რა შეუძლია ბარათს, აბა რა!
არ ესმის დროის ნაგრიალევი.
მას სხვა რა ძალუძს, რაც დააბარე,
ისიც ძლივს მითხრა დაგვიანებით.

მე შენ გეძახი, ბიჭო, მინდა რომ
აქაც გვადიდოს ძმობის ნამუსმა.
ვუშველოთ ზეცას — მარად იდაროს,
ვუშველოთ მიწას — მტრისგან ნამუსრალს!

ვუშველოთ ძხარეს — არ გაგვიხუნოს
ურე. ტკბილად რომ გამოვეიკვალთა!
შემდეგ ლენინის ცა დავიხუროთ
და ისე ვეჭქოთ, ჩვენ რომ გვიყვარდა.

1942 წ. მაისი.
ჩრდილო-დასავლეთი.

ჩვენო რძეტკბილო დედილო!

გახსოვს ის წამი, დედილო,
კარზე რომ მოდგა მტერიო?
სამ შვილს დაგვძახე — თქვენს შორის
არ ვფიქრობ მხდალი ერიოს,
ადექით, შეიკაზმენით,
რომ მტერი მოიგერიოთ!..

ასე მღეროდით ტოლებში —
„თუ იქნებაო ომი ხვალ...“
ხედავთ, ომია... თქვენ იცით —
რა სიამაყით მომიხვალთ!
ცუდად არ გზრდიდათ დედაი,
გალალებულნი ლომნი ხართ.

დაგვძახე, გამოგვაცილე,
თვალში ჩაგიდგა ნათელი,
ხარობდი — ომში წავიდნენ
შენგან გაზრდილი მართველნი, —
სამი გულადი ვაჟკაცი,
სამი გულადი ქართველი.

თვალს ცრემლი არ დაგდენია,
ნურც მომავალში გედინოს.
სახლში დაგვირჩი მშვიდადა.
ჩვენო რძეტკბილო დედილო!
ისე დასძახე, მაგ ხმამაც
გმირობა გაგვაბედინოს!

სამი დაგვზარდე ვაჟკაცი,
სამივე ვეფხის ბწკრიანი,
ქვეყნის საყვარელ შვილებთან
შენი ვაჟებიც კი არი, —
ხელში უჭირავთ გორდაი,
მისით რომ გააქვს წკრიალი.

ხელში უჭირავთ გორდაი,
წინაპართ გამოპირული.
მას ან სიკვდილი სჩვევია,
ან დაბრუნება გმირული, —
დედი, მოგიეალთ ამაყად,
მტერს დარჩეს სისხლის ბინული!

1942 წ. 10 აგვისტო.
ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი.

ორი ლექსი დღიურიდან

I

ურთერთს რა ტკბილად გავესალამეთ
შენ ჩრდილოელი, მე სამხრეთელი.
მოვსულვარ გურჯი აბესალომი
და მიპოვნიხარ ჩემი ეთერი.

რა ვუყოთ, მწყემსი არა გქვიოდეს,
ცხვარს არ უდგეხარ მთაზე შეფენილს.

არც მე ვარ მეფე, გვარით ზეიადი,
და ჩვენ ერთმანეთს უფრო შევფერით.

1943 წ.
4 აპრილი.

II

ძვირი მიჯდება, თუნდაც იაფი,
სულ ერთი არის—თვალთმაქცობს ფოტო.
ეს მე არა ვარ! ფერის კიაფით
მე შემოდგომის მოვგავარ ფოთოლს.

ეს მე არა ვარ! ვერ ვცნობ ვინ არის!
რად ფარავს სახეს ნისლით ლეგათი,
ეს ფოტოგრაფის ნაცოდვილარი
ჩემი არსების მოჰგავს ნეგატივს.

ეს მე არა ვარ! ჰკითხეთ დედილოს,
თუ ბგერა მწამდა წუხილის ზართა,
მე მუდამ თვალებგადაწმენდილი
დედის მხიარულ ნანინამ მზარდა.

არა, მე არ ვარ, უმწუხარესი
ვშთები, როს ვხედავ სახებას დაღლილს,
და მეგობრობის ამ დიდ მზარეში
უმეგობრობის მაჩნია დაღი.

ეს მე არა ვარ, მე ხომ ამქვეყნად
ქვაც მმეგობრობდა, რტომწვანე ხენიც.
დამიდასტურებს ჩემი თაობა,
რომ მე სიცოცხლე ვატარე ლხენით.

1943 წ.
ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი.

დედი, იქნებ შენ გამაგებინო

...გახსოვს, ძამიკო, როგორ ვისურვეთ
ცხოვრების ბედის მზეზე მინდობა,
მის ახლოს ყოფნა სულ და...
შემდეგ ბავშვობის ზღვართან მისულებს
გვტანჯავდა ზეცის უამინდობა,
მზის შეჩერება გვსურდა.

გვეგონა იგი ზეცის კაბადონს
ძირს ჩამოჰყვება და ლაღ სავანეს
გვესოს მთა-ველზე გაშლის...
„მო, დავედევნოთ მნათობს გაბადრულს,
ისე მცირე ჩანს მისკენ სავალი,
ვერ შეაშინოს ბავშვიც!..“

გვიან გავიგეთ — ჩვენ რომ ვინატრეთ,
სხივთა ციალით თვალს რომ გვტაცებდა
ის უცნაური რამე,
თურმე გვესოშიც არ იბინადრებს
და ჩვენს ლუხვანელ სახლიკაცებთან
სადღაც ათენებს ღამეს.

და ისევ ქვევით, ისევ ცაგერი,
დალმართზე ორ ბიჭს, დარდით გათოშილს
ჩამოგვყვებოდა მწუხრიც.
ჩვენს სანატრელს რომ ვერ მივაგენით,
თავებს ჩავრგავდით ბებოს კალთაში
და უმზეობას ვწუხდით.

ახლა აღარც მზე, აღარც ბებილო,
მიმალავს შარას ახლა მისკენაც
ჩემი უბედო ბედი.
დედი, იქნებ შენ გამაგებინო,
საით ღუღუნებს ჩვენი მზის კერა,
ჩვენი ბავშვობა, დედი!..

1943 წ. ივლისი.

სად ვარ?..

„ჩვენ ყოველთვის გვინდა ვიცოდეთ —
როგორ ან სად ხარ, მასწავლებელო“.
ბავშვთა წერილიდან.

ის ერთი ღამე... ტყვია ელავდა,
არ დამავიწყდეს, მგონი, მარადის!
ნალმმა ამინთო ცეცხლი კელაპტრად
და წავიკითხე თქვენი ბარათი.

რა თბილი იყო, რა მახლობელი,
რა საყვარელი ახალწელივით, —
თქვენი ამბების ჩემთან მთხრობელი,
თქვენი პატარა თეთრი წერილი.

უვლია, თურმე, არც ისე დიდხანს,
ულახავს სივრცე მთათა, ეაკეთა...
მომიყვა თქვენზე და ბოლოს მკითხა —
როგორ ვარ, სად ვარ, ან რას ვაკეთებ.

მე ხომ მანდ დამრჩა წიგნი, კათედრა,
ტკბილი დღეები სიყრმის ხანათა!
ახლა როგორ ვარ? ღამეს ვათეთრებ
ჩემი სამშობლოს გასახარადა!

ვერ ვხედავ იმ მთებს, იმ ძველ ფშიარებს,
აქ საქართველო თვალით არა ჩანს...
მაინც სადა ვარ? შორს არ შრიალებს
ქართან შეზრდილი ჩემი ფარაჯა.

აქა ვარ. მტკვარმა გამომაცილა,
სამშობლოს მტრები აქეთ მეგულვის.
ახლა მეც ქვეყნის ერთი კაცი ვარ
მტრებზე ნაღმივით აფეთქებული.

აქ გაიწვია გული 'მგოსნური
მიწამ, დროებით მტრისგან ნადაღმა.
ისევ თქვენთან ვარ, არ წამოვსულვარ
ცხრა მთას იქეთ და ცხრა ზღვას გადაღმა.

ისევ თქვენთან ვარ, თუმც გზების რიგით
სივრცე ჩვენს შორის გაგრძელებულა...
პუშკინისა და შევჩენკოს ირგვლივ
მინდა მოგითხროთ კელავ ძველებურად.

მტრებს უსურვიათ — წაბილწონ განგებ
მათი სახელი დასადაფნავი...
მეც აქ მიხმობდა პუშკინის ჩანგი
და შელახული მგოსნის საფლავი!

აქეთ მიხმობდა გორკის სამშობლო,
მგოსანთ კრებული, ყველა უკლებლად...
აქეთ მიხმობდა ჩემი ბავშვობა,
ბედნიერ ლექსით დაჭაბუკება!

აქეთ მიხმობდა ცეცხლი მშფოთავი,
მოხუცთა კვნესა, ბალღთა ტირილი!
გამომაგზავნა აქეთ შოთაიმ
ძმობის მოყვარე ავთანდილივით.

და, ვიდრე ძარღვში სისხლი გაშრება,
ჩემს გმირ წინაპარ ქართველთ ვედრები!..
აი, სადა ვარ, კარგო ბავშვებო,
აი, რად დამრჩა სკოლის კედლები!..

1943 წ. 9 ივნისი.

ჩემო მაზარავ

ჩვენ დავძმობილდით,
ჩემო მაზარავ,
სამშობლოს სითბო
თან დამაქვს შენით.
ბრძოლის ქარცეცხლში
არც მე დავმზრალვარ,
რომ გავიარო
გზა დანარჩენი...
  დაე, ესმოდეს
ლამეს განათევს
ჩვენ ამ ბრძოლაში
რას ვეზიარეთ!
სანამ ბერლინში
ცეცხლს არ დავანთებთ,
ვივლით ცხოვრების
თანაზიარად...
  როს გავიმარჯვებთ,
ვით რელიქვია,
გულს გაუხარებ
ვიცი შენს მნახველს.
და თუ კი დამცა
ვერაგის ტყვიამ,
მაინც შევირჩენ
გმირობის სახელს.
  მანამდე ბრძოლის
მეგობრად იყავ!
და კვლავ სამშობლოს
სითბოთ გამათბე.
მე საბოლოოდ
მაშინ გაგწმინდავ,
როცა ბერლინში
ხანძარს ავანთებთ!..

1944 წ. იანვარი.
ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი

ეპიტაფია

რა საჭიროა გითხრათ ვინ ვარ,
ან რა, ან როდის
დაეძმობილე სიცოცხლეს ან სიკვდილს
სისხლიანს...
ხომ ხედავთ, აქ ვარ და ჩემი მზე
ალარ ამოდის...
დავუფლებიეარ ამ სივრცეს და ამ ველს
ნისლიანს...
  იცოდე მხოლოდ, ამხანაგო
შთამომავლობავ!
გული მიმქონდა იმ საქმისთვის
ქვად და აგურად,
რომლისთვის შენ დღეს მადლიერი
ამბობ მადლობას!
— აი, ამიტომ მომიგონე
ამხანაგურად...

1944 წ. 5 აპრილი.
ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი.
შეტევის წინა დღე.

ფრონტული წერილები

დედა, ნინა, ქეთო!

მეორე დღეა მივდივართ. ამბობენ შორი გზა გვაქვს წინო. რაც უნდა იყოს, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სახლისკენ ვბრუნდებოდე ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი; ჩემი ოვის ხომ ნაცნობია წინათ გაელილი შარები უკრაინისაკენ. ძინდა უფრო უცხო მხარეში მოვხვდე, ისეთში, აქამდე რომ არ მინახავს — ბევრ ინტერესს დააკმაყოფილებს ჩემი ბუნტარული ბუნებისას.

ჩემზე არაფერია სადარდო, გარდა იმისა, რომ შორს ვიქნები თქვენგან და ქუთაისურ სიახლოვეზე ნაჩვევს. შეიძლება მე თვითონ გამიჭირდეს ეს დაშორება. როცა დავიმკვიდრებ, მისამართს გიდეპეშებთ.

„კომუნისტში" თუ დაიბეჭდა ჩემი რაიმე (ლექსები დავტოვე ამხანაგებთან გასაგზავნად), ამოჭერით, გამოგზავნეთ.

დედას მოუარეთ — აი ჩემი კარგად ყოფნა.

გკოცნით კ ო ლ ი ა

12. 10. 41 წ.
ბაკო.

დედა, შუშანა და ქეთო!

გასაგებია, გაძნელდეს თქვენთან მიმოწერა; მტერი კავკასიის კლდოვან კარიბჭესთან დგას უკვე, მაგრამ თუ თქვენ ამას დაურთეთ ზოგჯერ ჩვეული სიზარმაცე, ბარათს, ალბათ, მთელი წლობით ვერ მივიღებ.

რუსეთში შემოდგომის უკანასკნელი ორი თვე ზამთრის კუთვნილებაა. ახლა აქ ისე ცივა, როგორც ჩვენში დეკემბერ-იანვრის თვეთა მანძილზე. მაინც კარგად ვარ. თითქოს ყოველივეს

შევეჩვიე. სახლში ძილი მენატრება მხოლოდ ამდენი ხნის უძინარს; მენატრება დედას ფუსფუსი, ქეთუნიასთან შეძახილები, ჯუკაიასთან — ზღაპრობანა და „არსენა ბიჭოს“ მღერა. მახსოვს, ლექსს ვწერდი ერთხელ — „ლეჩხუმურ ღამეს“. ასეთ დროს ძნელია შენთან იყვეს ვინმე. ჯუკაია კი არ მშორდება, თუმცა მინდვრად ბურთიც გავუჩინე, ჩემთან ტრიალებს. როცა ლექს!, ჩემთვის ვკითხულობ საგრძნობი ჩურჩულით, ისიც იმეორებს და მალე მან მთელი ეს ლექსი ზეპირად იცოდა, თუ ახლა არ დაივიწყა. ჰკითხეთ აბა! ასე იწყებოდა ის:

„თეთრია თოვლი, ღამეც თეთრია. —
ბარს ეწვევიან მგლების ურდონი;
ვინ იცის — წუხელ სად არ ეთრიენ,
სად არ გატეხეს ბაკის ურდული...“ და სხვ.

შუშანა მწერს — ლექსებს ეტანება, შაირობს კიდეც ჯემალიო. კარგია. ნუ გადატვირთავთ მხოლოდ. მოაგონეთ, რომ მამამისი და კოლია ბიძია ამ მხრივ საკუთარმა სიზარმაცემ წაახდინა.

ვიგონებ — ცუდად არ დავიწყე. საბჭოთა მწერლების ორგანოში დამბეჭდეს (ჟურნალი „ჩვენი თაობა“ — სამჯერ), ცენტრალურ მასიურ პრესაშიც — „ნორჩი ლენინელით“ დაწყებული „კომუნისტით“ გათავებული. მწერალთა კრიტიკამ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ორჯერ ქებით მომიხსენია... შემდეგ კი ვიწყე სიზანტე, ფეხბურთობანა და იაფი გართობა. წელიწადში კი თითო ლექსის ბეჭდვით ვკმაყოფილდებოდი. ახლა ვგრძნობ ყოველივეს, ან რათ მინდოდა ალბომატებისათვის ამღერება?! რამდენი ლექსი, და ზოგი კარგი ლექსიც მაქვს გაფანტული გოგონების ალბომებში. ნეტავ ახლა ისინი ერთად მომაგროვებინა! სახლშიდაც ბევრი დავაბნიე უგზო-უკვლოდ. თუ ცხოვრება შემთხვევას მომცემს, ისევ უნდა დავუბრუნდე და თავიდან დავიწყო ყოველივე. მანამდე კი თქვენ არაფერი დამიკარგოთ მანდ. რაღაცები მქონდა ჩემოდანში (პოემა აკაკი წერეთელზე და სხვ.). თუ რაიმე ნახოთ ლექსური, თუნდაც ერთი სტრიქონი ჩემი ნაწერი, შემინახეთ, ამით ბევრ სიკეთეს მიზამთ. ჯემიკოს და ბავშვებს კი შეაყვარეთ ლიტერატურა, მაგრამ მათემატიკაც უნდა უყვარდეთ!

ფრონტი გიახლოვდებათ? თქვენთვის ახალი იქნება ჩემგან გაცნობილ დღეთა საოცრებანი. ჩვენი არმია უკვე ნაცადია, მტრის ტაქტიკის მცოდნე. ძნელად ვინმემ წაიღოს მიწის მეტრიც, კი! წინ თუმცა ბეური რამეა მოსალოდნელი, — მაინც ვნახავთ ერთმანეთს. დედას სიბერე არ უნდა შეეტყოს — იმღეროს, იმ-ხიარულოს. მისი შვილებიც მღერიან მისგან შორს. ეს სიმ-ღერა ისევ მათ და ირგვლივ ახლო მდგომ ამხანაგებს ესმით მხოლოდ. არტილერიის კანონადა, თვითმფრინავთა ყუმბარების გრიალი და ტყვიამფრქეევთა განუწყვეტელი ტკაცანი ჩვენს ხმას მანდ ვერ მოაწვდენს, მაგრამ მაინც იცოდეს მან. დედამ. რომ ჩვენ ვმღერით და ისევ ის ჯეელი და მხიარული კოლია ჩამოვალ მანდ, ისევ ის ღვინომოყვარული და გოგონებში ეშმაკი (თუმცა სახლში ჩუმი და დარბაისელი) ოთარი მოგივათ, დედაც ისევ ის უნდა დაგვხვდეს — ოთარიმ რომ დატოვა 1939 წლის ზამთრის ყინვიანი დღით, მე რომ დავტოვე იელისის მზისქვეშ.

ნინასაგან წერილი მივიღე — დიპლომი ავიღეო შენი. არ ვიცი როგორი დიპლომი აიღო. მე რუსულ ენა-ლიტერატურაში სახელმწიფო გამოცდებზე კარგი შეფასება მივიღე (რუსული ენის არასაკმაოდ ცოდნის გამო). ამან შემიშალა ხელი პირ-ველხარისხოვანი დიპლომის აღებისთვის. არ მინდოდა ახლა დიპლომის აღება, თუ ის პირველხარისხოვანი არ არის. პრო-ფესურა შემპირდა ასეთის გაცემას (ყველაფერში „ფრიადები" მქონდა; ორიოდე „კარგი" მხოლოდ — მთელ მანძილზე. ნახეთ ჩემი მატრიკული. მანდ შეცდომით შანიძემ „საკმაოც" კი ჩა-წერა ერთხელ). ახლა შემეძლო რუსულ ენაშიც წარმატებით ჩაბარება...

(წერილს დასასრული აკლია)

მ ა რ ო!

რამდენი ხანია შენთან წერილით არ მილაპარაკნია. მგონი ქუთაისის შემდეგ აღარ მომიწერია რაიმე. შენი წერილი იმე-რეთის დედაქალაქში მივიღე ჩემი აქეთ გამომგზავრების დღეს. ახლა თან მაქვს და სხვა წერილებთან ერთად მეასედ ვკითხუ-

ლობ მის სტრიქონებს. რას იზამ. მეოთხე თვეა საქართველოდან არაფერი იცი და მხოლოდ გამოყოლილი წერილ-სურათებით ვიკლავ [illegible]ნატრულობის სურვილს.

დედაზე ფიქრები არ მშორდება. ვინ იცის რას არ გაიფიქრებს იგი შვილებზე. მე კარგად ვიცი მისი ამბავი: განმარტოება იცის, გაკიდეგანება. და რაკი თავს მარტოდ დაიხელებს, ფიქრობს და ტირის. გარეშეს კი ცრემლებს იშვიათად აჩვენებს ასე რამდენჯერმე დავიჭირე იგი: ოთარიზე ხშირად აცრემლებულა, ახლა მეორე ვაჟზეც. და იქნებ, ვინ იცის, მესამეზე და სიძეებზეც გაუხდა სადარდო! (თუ ისინი გაიწვიეს). საქმე იმაშია, რომ „შიშს დიდი თვალები აქვს" — განსაკუთრებით ზურგში და არა ფრონტზე, თორემ აქ არაფერი ისეთი არ არის, რომელზედაც ღირდეს შეშფოთება. ხალხის მოწინავენი ყველანი აქეთ არიან. წარმოიდგინე — დედასთვისაც თუ იქნებოდა კარგი მისი ვაჟების მანდ ყოფნა ომის დღეებში! ყველა დასცინებდა მის შვილებს და მასაც. დედათა შორის რჩეულ დედას, ბევრი მოკრძალებენია და გადაუტანია მის არსებას. ახლა უფრო [illegible] ტვირთია გადასატანი. ომი დამთავრდება და ჩვენც მანდ [illegible]ართ ჯანმრთელნი და გამარჯვებულნი, მანამდე კი მინდა, რომ მანდ დარჩენილი მოკეთენი ყველა დედის ირგვლივ იყოთ. მოხუცებულობამ არ დასძლიოს, თორემ სხვა სადარდო არაფერია. იქნებ მხიარულობასაც უშვა ხელი — აქაოდა „რა მემღერეფსო"... მისი შვილები ტყვეთის ცეცხლში მღერიან. ჩემი ფანდუფსით, ბომბარდირების დროს, ვაოცებდი მებრძოლებს და ამხანაგ მეთაურებს — „ბავშვი ხარო, სისხლი გიდუღსო". სიმღერა ჩემი ფარგი ამხანაგია. ვიცი ოთარიც მღერის სადღაც ჩემთან ახლოს. (მწერდა „გიტარას დაევმეგობრეო"). დედამაც იმღეროს და ეხალისოს. შვილები მანდ ხართ, იგი მხიარული და ძველებური ჯანით უნდა დამიხვდეს.

„გულის მეუღლეზე" შწერ და მთხოვ გითხრა რაიმე ამაზე. დაოჯახებაზე არ მიფიქრია აროდეს ღღემდე: ასპირანტურა მიტაცებდა, პოეტური განწყობილების ჩემი ბუნება არ ჩერდებოდა ერთ ასულზე... ვაჯადოებდი მათ არა სიტყვიერი თილისმით, არამედ ჩემი მხიარულებით და ცეკვა-სიმღერით. ლექსებიც ბევრი დამტყუეს მათ... ვფიქრობ, რომ ეს წლები ჩემი მაჭრობისა და დადუღების წლებია. ამ წლებს ასე სჩვევია და

ალბათ, როგორც სწავლის წყურვილს მოვი ლავ, ამ თამაშობანასაც ბოლოს მოვუღებ... ზოგჯერ ვლექსა, ღეც. პატარა რვეული ავავსე ჩემებური სტრიქონებით.

დანარჩენზე და უფრო დაწვრილებით შემდეგ, როცა შენს წერილს მივიღებ.

თქვენ იცით მანდ და დედამ. შენი პატარა ბავშვების სურათი გულთან მაქვს. ედიშერი მაგიჟებს ფოტოგამოსახულებით. ასეთია ნამდვილად?

მწერეთ და მწერეთ. ჭიჭიკო სად არის? დაეამთავრე უნივერსიტეტი, ეფიქრობდი ყველასთვის მიმეზღო პატივისცემისამებრ და ჰიტლერმა კი არია სუფრა. ალბათ იგი ჩემგანაც მიიღებს მცირეოდენს. მოიწერე თუ იცი რეზო სად იმყოფება ახლა. თუ თბილისში ლექსაობს ისევ?

გკოცნი და გკოცნი. შენი კ ო ლ ი ა.

10. 2. 42 წ

ძ ე თ ო!

ეს მერამდენე წერილია, ალაჰმა უწყის! თქვენგან კი მაინ არაფერი ისმის. ნეტავ თუ ცოცხალნი ხართ ყველანი! ჩემს შ სახებ დედას უთხარით, რომ მოვალ იმაზე უკეთ, ვიდრე მა ვიყავი. ჩრდილოეთის ჰავა ჯანისთვის კარგია, გერმანელმა ფრიცებმა კი ჯერ ვერაფერი დამაკლეს. შვილები სადარდოდ არ დაბადებია მას.

ოთარიზე თუ გესმით რაიმე? მე თქვენს პირველ წერილთ ერთად ველი მის მისამართსაც. ფრონტიდან ფრონტზე მიწერ მოწერა ძლიერ ადვილია, მასაც მალე მოვნახავ და ქაღალდ ბით მაინც ვისაუბრებთ ჯერჯერობით.

ხედავთ ამ წერილის ზემოთ მოთავსებულ სურათს? ასეა ნამდვილად: დღედაღე წინ მიდიან ჩვენი ნაწილები, ყოველ საათს მოსდევს ახალი, მორიგი ტერიტორიების განთავისუფლება. ზამთრის ბოლო ჩვენს მიწაზე ადოლფ ფიურერის ფინიათა ყოფნის ბოლოც იქნება ალბათ.

ჯერ დავით კოპალიანის ძველებური სიმხნევით ვარ, ჩემს ახალგაზრდობას მხოლოდ რუსული ზამთრის სუსხი აშინებდა, თორემ იარაღი გერმანელებზე ნაკლები არც აქ გვაქვს. აღმოჩნდა, რომ ფრიცებს ჩემზე, ამ სამხრეთელ ბიჭზე უფრო ჰშინებიათ ზამთრისა. ჩემს თბილ ტანსაცმელს ჰაპანინელთა ბანაკშიაც ვენდობი. ასე, რომ მათი და მამიდაჩემის ლოცვა-კურთხევით, ვფიქრობ, ზაფხულის რომელიმე თვეში ძველნახიდ-ვარიდან წისქვილის გზით სახლში მოვალ (წისქვილი თუ არ დამხვდა, გზა ამებნევა).

ახალი აქეთ არაფერია — ძველ ტერიტორიებს ვიბრუნებთ უკან მხოლოდ. მანდ რა გაქვთ ახალი? ვინ გათხოვდა, ვინ ითხოვა და სხვ. ბიჭოლიას ქორწილი მესიზმრა. მართალია? ნუცი როგორ ცხოვრობს? ქეთუნია, შენც არ იუიქრო გათხოვება. „თლა ისე კი არაა საქმე კუჭა, ჩამოგიეა ცოცხლად შენი სოლომ-გოლომი. დაუცადე ერცახე". ამ მოგურულო ფრაზაზე იპოლიტე ქვილორია გამახსენდა. მომწერეთ მასზე თუ იცით რაიმე.

სხვათაშორის. ნინას უთხარით, თუ თბილისში ყოფნა მოუხდება, აიღოს უნივერსიტეტის დამთავრების დღეებში ფაკულტეტის მიერ გადაღებული სურათი. მიაკითხოს პლეხანოვის 147 ნომერში (თუ 146). არტისტ საღარაძის ბინაში ჩემი ამხანაგი ევგენ ჯეირანაშვილი ცხოვრობს, იმან იცის ყოველივე. ან მასთან იქნება, ან თვითონ მოუტანს ნინას ბინაზე (ამაზე ადრე ვუთხარი მას). ასე რომ, ნუ დაკარგავთ, ხუთი წლის მანძილზე ერთად შეზრდილ ამხანაგებს შორის ვარ მანდ და მინდა სახლში დამხვდეს ეს სურათი.

მოკითხვა ყველას. გკოცნით და გკოცნით! თქვენი კ ო ლ ი ა.

25. 2. 42. წ.

სალამი ლაღო!

რას შვრება შენი რედაქცია? დათიკო ყურაშვილი ხომ არ წაგართვეს? იქნებ აივსო სტამბა და ყველა შენი შტატი ქა-

ლებით. კარგია თუ ერთი მამაკაცი შერჩები ამ დარგს ძველ მუშაკთაგან.

მიშიკოსგან წერილები მოგდის? მე მის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი. არავისგან ჯერ კიდევ წერილი არ მიმიღია. 8 ოქტომბერს დავტოვე საქართველო. მას შემდეგ ქართული ასოები, სხვისგან დაწერილი, მენატრება.

თეატრი მუშაობს თუ რასა იქმს? რეცენზიებით უმასპინძლდები?

რომ იცოდე, რამდენი რამის შესახებ შეიძლება აბ-ლა წერა. გერმანელთაგან მიტოვებულ ცეცხლწაკიდებულ სოფლებში გაელისას უამრავ მასალას ნახავ გაზეთისთვის... ვწერ ღღიურებს, ორ სტრიქონიანს (ზოგჯერ როცა დროს ვნახავ). ვიცი ერთ დროს გამოდგებიან. ღღეს კი ბევრი ღრო ვიშოვე, შტაბში შევიარე და ვწერ წერილებს ათასი მისამარ-თით.

ჩვენთან არის წინსვლა და გამარჯვება. ბევრ რაიმეზე მინ-და ლაპარაკი, მაგრამ ამაზე მას შემდეგ. როცა შენს წერილს მივიღებ. მოკითხვა ნაცნობთ.

წერილი — ამის მიღებისთანავე!

ნახვამდე! ძმური სურვილებით. კ ო ლ ი ა.

26. 2. 42 წ.

პატივცემულო გოგუცა!

ვბედავ ისევ წაგართვათ დრო ჩემი ამ სტრიქონების კითხ-ვით, ვბედავ იმიტომ, რომ მინდა ვიცოდე ჩემს მშობლიურ მხარეზე, ჩემი ბავშვობის მეგობრებზე ცოტა რამ მაინც. თქვენ შეგიძლიათ, თუ პატივს მცემთ, მაცნობოთ მათ შესახებ. პირ-ველ ყოვლისა გიგაზე და კოკიზე მინდა ვაკვიგო — სად არიან ახლა ისინი? შეიძლება თუ არა მათთან წერილით დაკავშირება? სხვათაშორის, ამ ხუთიოდე ღღის წინ გზად მიმავალმა დაეი-ნახე კაცი, რომელიც ასლი იყო თქვენი შოთასი (ულვაშები ჰქონდა მხოლოდ გაპარსული), გაეექანე კიჟინით, ქართული შემახილებით. განზრახვა მქონდა მხიარული შეხვედრისა,

ყველაფერი კი დამთავრდა ჩხუბით, — კინაღამ ტყვიამდე მივიდა საქმე; ვიღაც რუსი აღმოჩნდა და, ჩვეულებრივად დედა შეიგინა, ამაზე ლეჩხუმურად მინდოდა პასუხი გამეცა, მაგრამ შემოსწრებულმა პოლკოვნიკმა გაგვაზევა.

გიგა და თოფი?! ლოლიას უთხარით — შენს ქმარს ხელთოფია თავის დღეში არ უსვრია და სად აგზავნიდი-თქო. ბაბუანა იმას კალამი არ ეგონოს, ან რუსეთის ციცი ველები — გულთბილი „კომუნისტის" ყოველდღიური ფურცლები. მას ის ურჩევნია სახლში დაბრუნდეს და მისი პატარა ვაჟკაცი გაუშვას სასახელოდ ფრონტზე, თორემ დაეკარგა გაზეთიც და თოფ-გატეხილი და ქარქაშ-ცარიელი მიუვა მეუღლეს სახლში (ვმასხრობ, თორემ... ღმერთმა აარიდოს ასეთი ლაფი!..)

ბათქს ისე შეეჩვია ყური, მგონი უმისოდ ვერ გაძლო მალე და სამხედრო სპეციალობა ავირჩიო. ხშირად ტოლები მომენატრებიან, სიჭაბუკის მეგობრებზე ფიქრები მაღონებენ. სად არიან ახლა ისინი? როდის შეეხვდებით ერთმანეთს? რატომ ჩემთან ერთი მათგანიც არ არის?.. ავედევნები ბავშვურ ფიქრებს და შემდეგ ძნელია ჩემთვის ჩვეული მხიარულების აღდგენა. ამიტომ გთხოვ ამ წერილის მიღებისთანავე დაწეროთ ორსტრიქონიანი, ან იმდენსტრიქონიანი ბარათი, რამდენსაც მოითხოვს მისამართები გიგასი, კოკის, თუ იცით — იოსებ ჭაბუკიანის და მიშიკო ჩაკვეტაძის. ბევრს ვთხოვე ეს და არ შემისრულეს.

გულითადი მოკითხვა თქვენი ოჯახის მთელ შემადგენლობას! გისურვებთ ცხოვრების ბედნიერ დღეებს!

პატივისცემით კ. დ. კოპალიანი

26. 2. 42 წ.

თქვენ რა გითხრათ, მართლა!

გაიკვირვებთ, ალბათ, რატომ ვიწყებ ასე წერილს. თუ კარგად განსჯით, თვითონვე ახსნით, რომ ასეთი მომართვა თქვენდამი მართებულია; რა გაჭირდა ორიოდე სტრიქონიანი ბარათი?! ჩემს ირგვლივ აუტანელი სიჩუმე იქნებოდა, რომ მახლობლად მყოფი რუსი გოგონა არ მიხსენებდეს მისი ხშირი წე-

რილებით. მწერს იგი, თითქმის ყოველ მეოთხე დღეს — მწერს სიყვარულზე ფიცით. ცეკვით გავიცანით ერთმანეთი მიხაილოვსკის კლუბის თაღებში და ახლა ურთიერთობას ქაღალდებით ვაგრძელებთ. იგი არაა ისეთი, რომელზედაც ღირდეს თქმა — „მთლად შენი ფერის თვალები რომ აქვს" (ჩემი ლექსიდან გაზეთ „კომუნისტში"). ნამდვილი რუსია — მთვარისფერი... ასე რომ, გეშინოდეთ: რუს გოგონას ჩამოვიყვან მანდ. რომელსაც დედაჩემი ვერაფერს გაუგებს, თუმცა ცოტა რუსული კი იცის („სპიჩკა", „სტოლი", „რუჩკა" და მისთანანი). საქართველოდან არავინ არ მიხსენებს. სხვაზე რა ვთქვა — სახლიდანაც დამივიწყეთ.

ალბათ, ის უფროა დამნაშავე, რომ აქედან თქვენამდე წერილი მოგზაურობს ერთი თვის მანძილზე. იქედან აქეთ—ისევ ერთი თვე. ამგვარად, თუ ვიანგარიშებთ ბუხპალტერ ნიკოია ფრუიძისებური სიზუსტით, თქვენი წერილი მარტის ბოლო რიცხვებში უნდა მივიღო.

წარმოიდგინეთ, 8 ოქტომბერს დავტოვე იეერის მხარე. მას შემდეგ საქართველოზე არაფერი ვიცი.

მანდ, ჩემს შემდეგ, იქნებ ცვლილებათა მთელი რიგია; იქნებ ბიჭიკო ლარცულიანმა ცოლი ითხოვა ან ნინა გათხოვდა (ადრეა ჯერ), იქნებ ჯუმბერი შვილის მამაა, იქნებ დედაჩემს ქორმა უკვე მოსტაცა ერთი-ორი წიწილა, იქნებ ქვეყანა ისე შეიცვალა, რომ ბუხია და მიშაია ფოსტიდან მოხსნეს, ან ვალიკო კოპალიანი ფოსტის გამგედ დანიშნეს... იქნებ... მაგრამ რაღა იქნებ, — ბარემ თქვენ მოიწერეთ ყველა ცვლილებაზე, მოიწერეთ ზამთარი როგორი იყო მანდ, ვინ და ვინ გაათბო ერთმანეთი იმ სიცივის დღეებში. გოგუცა ახელედიანმა ვალია არ ითხოვა? (ხო. ახლა ქალები თხოულობენ კაცებს).

ჩემს შესახებ: ისე ვარ, როგორც ნიკო სხვიტარიძე იყო კოოპერაციაში ტკბილი სამსახურის მანძილზე. ახლა ეისეენებთ რამდენიმე დღე, მალე ისევ გავალთ.

მამიდაჩემი მომიკითხეთ! წერილს არ ვწერ იმიტომ, რომ, რატომღაც, ჩემს მიმართ იზარმაცა წერილებით. მას ჩემი რამდენიმე ბარათი მართებს. მისი ლოცვა-კურთხევა აქაც მესმის. გადაეცით, გერმანელი ფრიცები, შენი ძმისშვილების წყალობით, შენამდე ვერ მოაღწევენ, მშვიდად იყავი-თქო.

სხვათაშორის წერილების მიღება ფრონტის პირობებში უფრო ადვილია. მიუხედავად ამისა, დღემდე ჩემთვის ყველაფერი შეუძლებელი შეიქნა. თუ ერთი წერილი მივიღე თქვენგან, — სხვა აღარა მინდა რა.

ძიკითხვა ძეზობლებს — დიდს, პატარას. დაიწყეთ იაკინთე ლიპარტელიანიდან და ჩაათავეთ დეიდა პასიკოს სახლით.

იცით? როცა თქვენგან წერილი არ არის, ასე ვფიქრობ, რომ სახლში უბედურებაა რაღაც ისეთი სიდიდის, რამაც ფრონტზე გასული შვილები დაავიწყა დედას და და-ძმებს; იქნებ შალიკო არმიაშია? მაშინ შუშანის დასჭირდება ჯემიკოსთვის უჩვეულო დედობა. რომ არ იგრძნოს მამის დაშორებით მოსალოდნელი გულისტკივილი. მას ვენაცვალე, ახლაც პარტმანდატის გვერდით მიდევს მისი ორი წერილი, ავჭალაში და ქუთაისში გამოგზავნილი. ვინ იცის მერამდენედ წავიკითხე ისინი. ერთი ლექსადაა დაწერილი: „ჯუკაია მოშაირე ასე გითვლი კაპიტანო“ და სხვ. გადაეცით, რომ ლექსაობა ბიძამისსაც უყვარდა და უყვარს, მაგრამ ზარმაცობა სძლევს ხშირად-თქო. მან კი ახლავე შეიყვაროს ლიტერატურა, ხატვა და ბეჯითობა. სწავლაში კი ფრიადოსანი უნდა იყოს. ანზორიკა ყაჩაღის მუშტები მომენატრა! იგი, ვიცი, სწავლის პატარა გმირი იქნება. ნელიმ კი — წერილი მომწეროს... ეჰ, დამიკოცნეთ, დამიკოცნეთ ეს ჩემი პატარა მეგობრები!.. ახლაც მინდა, რომ ისინი ჩემს მხრებზე თარეშობდნენ!.

გკოცნით. თქვენი კ ო ლ ი ა.

20. 3. 42 წ.

დედა, შუშანა, ქეთუნია!

„დიდება და მადლი ღმერთსა“... დღეს მივიღე თქვენი წერილი. წარმოიდგინეთ, დილით უჩვეულო მხიარულებით წამოვდექ და ჩემი პირველი ფრაზა იყო — „დღეს აუცილებლად ჩემი წერილი იქნება საქართველოდან“. და როცა ნაწილში მორიგემ კონვერტებზე გვართა წაკითხვა დაიწყო, ჩემი ამხანაგების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა — წერილი მართლა იყო

და არა მიხაილოვსკიდან, არამედ თქვენგან. კარგი იყო მშობ-ლიური სტრიქონების წაკითხვა. ვინ იცის მერამდენედ წავიკითხე ისინი და კიდევ მერამდენედ წავიკითხავ, ვიდრე მეორე წერილს მივიღებდე თქვენგან.

კარგი იყო გეწერათ იმაზე, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა. ჯერ ერთი, რატომ დედას წერილი არ იყო კონვერტში? მეორეც, ოთარის შესახებ არაფერს იწერებით. გარდა შუშანასაგან მოწერილი შემაძრწუნებელი ფრაზისა — „ოთარის არაფერი ისმისო". რას ნიშნავს ეს? რა ხანია მისგან წერილი არ მიგიღიათ? როგორი იყო მისი მისამართი უკანასკნელ ხანებში? არაფერია საშიში, რომ წერილებს ხანგრძლივი დაგვიანებით ღებულობდეთ. ხდება ასე ხშირად. მეგონა არც ჩემგან ღებულობდით ბარათებს... რა ვიცი. მე-6 თვეა საქართველოდან მხოლოდ ერთი წერილი მივიღე. ოთარიზე მომწერეთ, იცოდეთ!

შალიკოც გაიწვიეს? რას იზამ!.. დრო ითხოვს. ჯემიკოს წერილმა აღმაფრთოვანა. ლამაზი ხელი აქვს. ჭკვიანი ბიჭი ჩანს... ვგრძნობ როგორ მდგომარეობაში იქნება შალიკო, მით უფრო. თუ თქვენ წერილები ხშირად არ უგზავნეთ. მოიწერეთ მისი მისამართი. ბედმა ქუთაისში არ შეგვახვედრა ერთმანეთს და ქაღალდებით მაინც ვიბაასებთ. მისი ლექსი „ღია წერილი ძმებს" ჩემი ჯიბის მკვიდრია, — ვკითხულობ მას და ვნატრობ იმ დღეს, როცა ჩვენს ზალაში თავმოყრილ ძმებს უფროსი სახლიკაცი გვეტყვის — „ბიჭებო, აბა დალიეთ გამარჯვების..."

მაინტერესებს როგორია ბაზარი, ფასები, როგორ ხართ თქვენ. ფულით რაც შემეძლება დაგეხმარებით, ჩემთვის იგი საჭირო არ არის... ჯემიკოს, მახსოვს, წვრილ-წვრილი ფული უყვარდა საბაზროდ. არ გამოულიოთ, იცოდეთ! სწავლაში კი — მხოლოდ ფრიადოსანი! ხატვას თუ არ დაივიწყებს, კარგი ბიჭი იქნება. ბებოსაც ნუ გააჯავრებს ანცობით. იგი ახლა, ალბათ, ისე ჭკვიანია, ასეთებზე ლაპარაკი არც სჭირდება!

ვგზავნი სურათს, მიხაილოვსკში გადაღებულს. თუმცა მკრთალია, მაგრამ მაინც ჰგავს რაღაცას. აქ ამ სურათში ჩემი კარგი რუსი მეგობარი ვანია მელკაზიოროვია თავისი მეუღლითურთ (ეწვია სახლიდან), ჩემი ნაწილის პოლიტრუკია (პოლიტხელი). ომის შემდეგ საქართველოს ვასტუმრებ მას; ერ-

თად ჩამოვალთ ჯერ სვერდლოვსკში, ვანიასას, შემდეგ ჩვენ-სას. ქართველებს აქ ვერ ვპოულობ. მხოლოდ ერთი — კუკურა ორმოცაძე შემხვდა და ერთურთი სახის გარეგნობით ეიცანით ქართველებად. ქართულ ლაპარაკს მონატრულმა ორი საათი დავ-ყავი მასთან.

მამიდას წერილი რად არ მოდის?! ველი წერილებს. მი-სამართი ძველია.

გკოცნით და გკოცნით. თქვენი კ ო ლ ი ა.

28. 3. 42 წ.

P. S. ქეთუნია! გაზეთ „კომუნისტში" ჩემი ერთი ლექსის გარდა არაფერი დაბეჭდილა? (იპოლიტე ქვილორიას დავუტო-ვე ლექსები, მახსოვს).

კ ო ლ ი ა.

გამარჯვება გ ი გ ა!

თუმცა არა შენგან, მაგრამ მაინც გავიგე შენი ნათესაყუდა-რი.

მე-6 თვეა საქართველოს ცა მენატრება უფრო იმიტომ, რომ იქ, იმ ცის ქვეშ, ჩემი თაობის მეგობრები მეგულებიან... და თუ ისინიც ღღეთა მოთხოვნილებამ ქვეყნის სხვადასხვა კიდეებში დააშორიშორა, მაშინ სჯობს ნატვრა ჩქარ და სახალისო შეხ-ვედრაზე ომიდან შინდაბრუნებული, ნაომარი ყმაწვილებისა...

მე იანვრის 9-დან მოქმედი არმიის მწყობრში ვარ. პირდა-პირ შეტევაზე ჩემს ნაწილს ჯერ არ უხდება მოქმედება, მაგრამ კარგად იცი—ორი კილომეტრით მოწინაეე პოზიციებიდან დაშო-რებული ნაწილის მდგომარეობა ახლანდელ ომში. მრავალჯერ თავზე დაგვყაეყაეებენ თვითმფრინავები სვასტიკის ნიშნით, აკე-თებენ ირაოს ჩვენს ზემოთ, გრუხუნებენ, სტვენენ შემაზრზენად. ხრიალებენ, ყრიან ბომბებს, ატკაცუნებენ ტყვიამფრქვევს... ასე გრძელდება საათობით. და თუ თვითონ პირადი იარაღით არ ებრძვი მათ, იძულებული ხარ გახეედე ადგილზე, თუნდაც გულ-

ალმა. უცქირე მათ ფარფატს... გამოჩნდება ჩვენი თუნდაც ერთი „ისტრებკა“ (გამანადგურებელი) და ოცი ნაქები მფრინავი ადოლფ ჰიტლერისა ხვრელებს ეძებს საჰაერო გზებში, გარბიან. უჩვეულო სისწრაფით. ადექ და გახედე მეგობრებს. მებრძოლებს: ამოდენი ხორხოცის შემდეგ შედეგი არაფერია, არის მხოლოდ ორმოები — ბომბთაგან ჩვენს გვერდით გაკეთებული, ძირმოთხრილი ხეები... რამდენჯერ თოვლის. მიწის და ხეთა ნაფლეთებით დამფარა მათმა ბომბამ, — წუთის შემდეგ მუდუსაეით გამოეძვრები და ისევ ის კოლია ვარ, უვნებელი და სიმღერის მოყვარული. თუ ცაში წითელვარსკვლავიან თვითმფრინავს ხედავ, მოდიოდეს მასზე თუნდაც მტრის ასი სატრაპი, გრძნობ რომ ლაჟვარდში ჩვენი იმედია. ჩვენი გმირი მფრინავი, რომელიც ათასნაირი ოინბაზობით და ჰაერში ბრძოლის უჩვეულო ოსტატობით ფრიცებს ჩვენს მიწაზე ყრის ფრენის სურვილდაკარგულთ, ან აფრენის ადგილისკენ აბრუნებინებს პირს. ახლა უფრო მესმის ჩვენი იოსკას სიმამაცე, თუმცა ის, როგორც ვიცი, უფრო არა მტრის თვითმფრინავებს ებრძვის, არამედ ზურგში ურტყამს რეზერვებს, სამხედრო ობიექტებს: სადღაც ვაძინახავს ეშმაკურ გზას, დახელავს ვერაგთ და ლხინობს მათ ზემოთ.

შესვენება-შუალედებისას წერილების წერის მეტს არას ვაკეთებ. „ვეჩნი“ კალმისტარი ეიგდე ხელთ. მაგრამ ათასნაირი მელნით ვავსებ მას და ერთადერთი კალამი ლამის მთლად ვამიფუჭდეს (აქ სად იშოვი კალამს)... მაინც ასე დიდსა და ხშირ წერილებსა ვწერ.

მოიწერე დაწერილებით შენი ცხოვრების შესახებ. პატარა ბიჭი შენ კი არა, მეც მომენატრა, — ვერ პოულობ საშუალებას შისი ნახვისათვის?

ველი შენს წერილს. მოიწერე რა იცით ჩვენი ბიჭების შესახებ (მისამართებიც). ბენია ტრაბვაიდან დავინახე. სამხედრო ფორმით იყო თბილისში. დამიყვირა — „კოლია, კოლია“. ვხედავ — ბენ-ნი! ტრამვაიში სამხედრო კოლონა ვისხედი, არ მოხერხდა ნახვა. არ ვიცი ისევ თბილისშია თუ სად.

შეითან. ლექსების წერაში იქ ეზარმაცობდი, აქ 9-10-მდე ლექსი გავაკეთე — სანგრებმა და ფრონტმა რაღაც განმაცდევი

ნეს და სტრიქონებიც თავისთავად აიკინძნენ. მათ შესახებ — ჩვენი შეხვედრისას.

შენ, ალბათ, „კომუნისტს“ ისევ კითხულობ. აქეთ წამოსვლისას იპოლიტე ქვილორიას დავუტოვე ორიოდე ლექსი. გაგზავნა თუ არა რედაქციაში, არ ვიცი. თუ დაიბეჭდა. მაცნობე შენი აზრი მათზე (ერთი იოსებ ჭაბუკიანზე იყო, მეორეც ლექსი, რომლის ქვედა სტროფი თავდებოდა სტალინზე შეძახილით ქარცულად, აფხაზურად, თათრულად და ოსურად).

ვაჟიაცო, შენი თბილი ტანსაცმელი მე მივისაკუთრე, ფრონტზე გაპვლამდე ერთგულად მემსახურა. შემდეგ ზედმეტი შეიქნა. მაინც ვინახავ — საქართველოდან ჩემი კეთილისმყოფელთაგან ამ უსაჭიროეს საჩუქარს.

კარგად იყავი! მალე ნახვამდის!

შენი კ. დ. კოპალიანი

10. 4. 42 წ.
ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი.

დედა, შუშანა, ქეთო!

ადგილსამყოფელი გამოვიცვალე. თქვენგან წერილების მიღება ხშირად, მგონი, ამ პირობებში გაძნელდეს. ფრონტის წინა ხაზზე ვაწვდით მებრძოლთ მტრის განადგურებისათვის საჭირო ყველაფერს — საბრძოლო მასალებსა და პროდუქტს... ავიაციისა და არტილერიის მნიშვნელობა ახლანდელ ომში გასაგებია. ისინი მშვიდობიანად არც შორეულ ზურგს ტოვებენ, ხოლო ფრონტის წინა ხაზზე ხშირად ძნელია გარკვევა და გაუფრთხილებელი ნაბიჯი ცბიერი მტრის ბადეში ამოგაყოფინებს თავს მთელი სამხედრო ავლა-დიდებით. ჰაი, ჰაი, რომ თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია რა ცბიერი და მამაძაღლია ჩვენზე მოსული შავი ძალა; ათასნაირად შემოგივლის, რომ რაიმე მოგიხერხოს, მაგრამ გრძნობ მაინც, რომ ახლანდელი გერმანელი მაინც სხვაა, მაინც სუსტია, ვიდრე გასული წლის ივნისის თვეში ჩვენს საზღვრებთან სალაშქროდ ამხედრებული.

ბევრი მაქვს სალაპარაკო, წერილით ძნელია ამაზე, მომავალი შეხვედრისათვის გადავდოთ ყოველივე ეს.

მოიწერეთ ღებულობთ თუ არა ატესტატით ფულს რაისამხედრო კომისარიატიდან.

შუშანა და ქეთო! ასეთი ომი ისტორიას არ ახსოვს, სამხედრო ხელოვნების ახალი მიღწევებით მძაფრდება იგი ყოველდღიურად. ხშირად მოულოდნელობით გაკვირვებენ ომის უჩვეულო საოცრებანი. ბევრი რამეა მოსალოდნელი. მოსალოდნელია ისიც, რომ ერთმანეთს წერილებითაც ვერ ვესაუბრებოდეთ. მაგრამ მე კარგად ვიქნები. ოთარასი 8 თვეა არაფერი ისმის? ძნელია... მაგრამ მჯერა, რომ იგი სადღაც კარგად არის. წერილსაც მალე უნდა მოელოდეთ მისგან. წერილების მიუღებლობა არაფერია, ოღონდ არ უნდა იფიქროთ, რომ, რაკი წერილი არ არის, დაიღუპა კაცი. ასე არ არის ხშირად. თქვენ იცით და დედამ. კარგია რომ დედას ერთადერთი წერილი მაინც მაქვს ომში გასვლის დღიდან. მისთვის ძნელია შემოფანტულ შვილებზე ფიქრი. აქ თქვენი დახმარებაა საჭირო.

ჯუკარას უთხარით. ბებო არ გააჯავროს. თორემ ავიშლებით. ისწავლოს ისე. რომ კლასში ვერავინ სჯობდეს.

მამიდა ლიზას წერილი არ იქნა და არა... ალბათ, ლოცვებს უფრო უნდება. „უსმინე უფალო, ღაღადებასა მამიდაისა ჩემისა. რამეთუ ლოცულობს იგი დამყარებასა ამა ქვეყნად მშვიდობიანობისა, წესრიგს საბრძანებელისა შენისა... ამინ“ (გული არ მოუვიდეს ასეთი ქართულისთვის. აბა, წერილი მოიწეროს!).

წერილები მალე მოიწერეთ. მოსალოდნელია მალე შემტევ ნაწილში გადავიდე. მაშინ ძნელია მიწერ-მოწერა ამ მხარეში.

გკოცნით. თქვენი კ ო ლ ი ა.

25. 5. 42 წ.

დედა, ნინა, ქეთო!!

გერმანელების მიერ როსტოვის აღების შემდეგ იგრძნობა, რომ წერილებს აგვიანდება კავკასიის მხარიდან. გასაგებია: ახლა უფრო შორი გზა აქვს გასარები მოგზაურ ქაღალდებს. ამი-

ტომ არის, რომ ამდენი ხანია ამაოდ ველი თქვენგან ჩემთვის სანატრელ სტრიქონებს.

ოთარიზე ეს ერთი ხანია ჩემგან აუხსნელი სიზმრები დამტრიალებენ თავს ყოველ ღამით. ნეტავ იმის ნიშანი იქნებოდეს — მალე შევხვდე მას! ცოტა ხნის წინათ (მეორე თვეა მას შემდეგ) პარტიზანლობა ვითხოვე მკითხეს რაღაცები. იციან — რუსულში არც ისე ენამარჯვე ვარ და საკომანდო ნაწილში გაგზავნას მარიდებენ. კომისარმა ერთხელ, სპეციალურად დაბარებულს, ისიც მკითხა:

— ვთქვათ, ვერ გაიგონა მებრძოლმა შენი განკარგულება, ან, უკეთ, ვერ გაიგო და ამოცანის შესრულებისას, გადამწყვეტ მომენტში, ადგილიდან არ იძვრის, ან შეტევაზე არ მოგყვება, — რას იზამდით?

— დაეხვრეტ იქვე! — ვუპასუხე.

მან კი გაიცინა და თქვა:

— დამნაშავე მებრძოლის ასეთ ქცევაში შენც იქნები. შენ ხომ კარგად და მკაფიოდ გასაგებად არ შეგიძლია რუსული ილაპარაკო. მერე, აღზრდაც არის საჭირო მებრძოლებისო.

— ჩემი ამ რუსულით თუ გაიზრდება, ხომ კარგი, თუ არა და ახლა არც დროა და არც საშუალება, ამის გარდა შეტევაში რომ წინსვლა უნდა, ეს ჩემმა პატარა ძმისშვილმაც იცის-თქო... ამიტომ უკან დარჩენილი ცოცხლად ვერ დამრჩება-თქო.

ისევ სიცილი!

— აბა, პარტიზანად გამგზავნეთ ფრონტის იქეთა ხაზზე. სახლიკაციც პარტიზანია-თქო. — ვუთხარი მათ ამ სიცილის გამო თითქმის გულმოსულად.

— ვნახოთ, მოიცადე!

მალე გადმომცეს ძიმართვა. ვტოვებდი ჩემს ძველ ნაწილს. დავეძშვიდობე ყველას იმ აზრით, რომ მივდივარ მტრის ზურგში, გასაელელია ფრონტის წინა ხაზი, მტრის მოწინაეე პოზიციები. ათასნაირ ეშმაკობაზე ერთბაშად მოვიფიქრე. სახლში კი, თქვენკენ, ახლა ვგრძნობ, ვერ გამოვგზავნე კარგი წერილი თქვენი წერილები იქნებ ვერ მივიღო, საველე ფოსტასთან ახლოს არ ვიქნე მგონი-თქო. ხაზგასმული მოვიგონე, რომ არ მიმხვდარიყავით ჩემს განზრახვას პარტიზანად წასვლის შესა-

ხებ. აღმოჩნდა კი ისე. რომ კომისარმა ამ ნაწილში გამომგზავნა.

მშვიდობიანობაა. შედარებით, უჩვეულო! აქაური ლეგიონის კომისარს მოვეწონე — „მხიარული კავკასიელი ბრძოლის მშვენებაო“, მგონი მალე წინა ხაზზე გავიდეთ. ახლა კი ისე ეცხოვრობ, თითქოს სახლში ვარ. მხოლოდ მშვიდად ვერ ვიძინებ ერთი საათითაც კი (არტილერიის კანონადა, საჰაერო თავდასხმები, იშვიათად მტრის წვრილი ღესანტები...).

გერმანელთა თვითმფრინავები ახლა საშიში აღარ არიან. ჩვენი საზენიტო იარაღით დამფრთხალნი. იმ სიმაღლიდან ყრიან ყუმბარებს, რომ მიზანში ათასიდან ერთს ვერ მოახვედრებენ, შარშან კი, ეჰ, რამდენჯერ 10-ოდე მეტრის სიმაღლეზე გადამირბინა ცხენზე მჯდომს ტყვიების დაშენით. მამიდაჩემის ლოცვაი კალაბარჩინა ალბათ.

იქნებ გაინტერესებთ, როდის მოვალ სახლში. მანამდე, მგონი, მრავალმა წყალმა ჩაიაროს. გაიძვერა მტერი ბოლომდე უნდა განაღგურდეს. საკმაოდ დიდი დროა საჭირო. ვფიქრობ, ჩემს მანდ მოსვლამდე ბიჭიკო ლარცულიანი ცოლსაც შეირთავს, ნინა გათხოვდება, ბიჭოლიაც ნადირობაზე გულს აიყრის... ხომ ხედავთ რამდენი დრო არის წინ ჩემი თქვენთან შეხვედრის დღემდე...

თქვენ იცით და თქვენმა კარგად ყოფნამ. ახლა საქართველოსაც საშიში დღე ელის; ჰაერიდან შეუძლიათ ბევრჯერ გესტუმრონ. „ბლინდაჟის“ გაკეთებას ნუ დაიზარებთ — მკვიდრი იყოს, მაგარი, ყუმბარა რომ მოინელოს!

მოკითხვა ყველას!

გკოცნით და გკოცნით თქვენი კ ო ლ ი ა

10. 8. 42 წ.
ჩრდილო-დასავლეთი.

P. S. ნინა იწერება „საქართველოს ხომ არ დაუახლოვდიო“. საველე ფოსტის №-ით მსჯელობს. არა. ისევ ჩ/დასავლეთში ვარ — შეურყეველ ლენინგრადთან ახლოს.

დიდიმ და ნინა

...ყველა მენატრებით, მაგრამ თუ ბავშვების ჩემგან ასე დაშორება ასეთ გრძნობებს აღმიძრავდა, არა მჯეროდა. ახლა ვგრძნობ, — ისინი მაშინაც კარგები იყვნენ, როცა თავიანთი საზღვარგადასულ აპეზრობით დედას, ბებოს და ზოგჯერ მეც მაგულისებდნენ.

გზად ვარ-თქო გწერთ. ძველ ადგილებში მტერს ფეხი ავაკვეთინეთ. ბოლოუამს საოცრება იყო: დღით ურტყამდა ჩვენს პოზიციებს ყველა იარაღით... ღამით სრული სიმშვიდე იყო. მეორე დილით კი მტრის არტილერია მისსავე პოზიციებს ღრღნიდა. გაკვირვება — რატომ უშენენ ცეცხლს თავიანთ პოზიციებს? დაზვერვამ გამოარკვია, რომ ალყით შეშინებულმა ფრიცებმა ღამით დატოვეს ჩვენი ტერიტორია და გარბიან... მეორე ნაწილმა მტერს გადაუჭრა გზები და ქ. დემიანსკის მტრულ დაჯგუფებას ჩვენც სულთათანა ვუმღერეთ. ტყვე გერმანელების საცოდავმა სახეებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ იბრძვიან უბედურების შიშით — ჰიტლერისგან რომ მოელით უკანდახევის შემთხვევაში. თორემ გაბედულ მეომრებად ისტორიას უნებურად ღაწინაურებული ეფრეიტორის ხალხი ბუნებას არ დაუბადია. რუსული „ურას“ შეძახილს უცებ პასუხობენ იარაღის დაყრით და ყვირილით „ჰიტლერ კაპუტ“.

მივდივართ იქეთ, სადაც მტერმა თავი მოუყარა თავის შეფერთხილ ძალებს და სურს გამაგრდეს. წინ უფრო დიდი ოპერაციები გველის. მე კარგად ვარ, მით უფრო, რომ ორი ზამთრის სუსხი ავითვისე. მტრის ავიაცია არ ჩანს. მისი არტილერია კი ჩვენს არტილერიასთან ვეროდეს დადგება. ასე რომ—მივდიეარო მშვიდად და ხშირად გამყიანი შეძახილებით (ჩვენმა ავიაციამ დიდი ხანია დასჯაბნა გერინგის სვაეები).

დიდიმს ისევ არ იწვეევენ? კარგია. ეჰ, რა ტკბილია მოგონება თქვენსას გატარებული სტუდენტური დღეებისა! ნინა მწერს, ხშირად ვსვამთ შენს სადღეგრძელოსო. ალბათ გისმენთ „ღმერთი“, რომ ასე კარგად ვარ. ჩემს გაზრდაში დიდიმის დაუფასებელი გულთბილობა ასე არ მსურდა გადამეხადა, მაგრამ ჰიტლერმა აამღვრია წყალი. მისი კარგი ხასიათი უფრო სხვამ იცის ზოგჯერ, ვიდრე ცხოვრების თანაზიარმა მეუღლემ. მგონი დამრ-

ჩეს სიცოცხლის დღეები, ისევ ერთად ვიქნე თქვენთან და პატარა ანზორიკოს მაინც ვაგრძნობინებ ბიძობას...

მისამართი ისევ ძველი რჩება. მწერეთ ხშირად. მაცოცხეთ თქვენებს.

გკოცნით და გკოცნით კ ო ლ ი ა

7. 3. 43 წ

ძ ე თ ო!

შენი ცხოვრების ახალმა პირობებმა დედა არ დაგიეწყოს თორემ... ყველას გაფასებთ. მაგრამ დედასავით, თქვენც ცით. არავის... ხომ ხედავ, მისი მოხუცებულობის ღღეთა დაშაყრებს, რომ ელოდა. ამდენ შვილმოსწრებულ მშობელს როგორ გაუმართლდა მოლოდინი! კარგია თუ მის ქალიშვილთ და უფროს ვაჟს მანდ ხედავს ხოლმე ხანდახან. შენც იცოდე და ჩვენმა ყველა კეთილმა, რომ ვისაც ოთარისა და კოლიას შანდ დაბრუნებაზე ერთხელ მაინც თბილი სიტყვა დასცდენია — დედას რომ რაიმე გაუჭირდეს, — ნურც ელოდეთ სიცოცხლეშემორჩენილი ძმების ხილვას საქართველოში. ეს ისე... გული მტკივა ამას რომ ეწერ.. მაგრამ თქვენ უნდა გაიგოთ ყველაფერი. მე კი მხოლოდ მასზე დარდები არ მასვენებენ... სიბერეს ხომ თავისებური თვალყური უნდა. ეპრასის ამბის შემდეგ კი (რომლის არსებაც ასე მაკრად გამოიყურებოდა) ყველაფერი ეგზომ მაწვალებს და მაფიქრებს მარტოდ დატოვებული დედა კი ვიცი ხმამაღლადაც ქვითინებს (ჩემი წამოსვლისას ჩემთან მაკრად იყო. მაგრამ სამზარეულოში შევესწარი, რომ მარტოდ მყოფი ტიროდა). საჭირავი ბალ მტერს ექნება და ჩვენც ყველანი სახლში ბედნიერად მოვალთ თუ ეს არ სჯერავს დედას, ძნელია მისი სიმძიმიდე. საჭიროა კი, რომ მან შვილებზე არაფერი იდარდოს. რომ ვიცოდე, რომ იგი საერთოდ არაფერზე წუხს და თავს უვლის თუნდაც იმისათვის, რომ ფრონტიდან მოსულ შვილთ ძველებური მზნეობით ვადაეს-ვიოს. ქვეყნად არაფერზე ვიდარდებდი და გულიც ძალას შემმატებდა სახელიანი სიცოცხლისათვის ბრძოლად გასულ ჭაბუკს.

ვამთავრებ ამაზე წერას... ძნელიცაა წერა!

მოკითხვა მეზობელთ, ამხანაგებს.

ქეთო! დათიკო ყურაშვილი მწერს ამხანაგებზე, მაგრამ არც ერთის მისამართს კი არ ეატყობინებს. მწერს, რომ ისინი ცოცხალნი არიან სადღაც. მომწერე გიგაზე, კუკუნაზე, ბენიაზე, შალიკო დავითულიანზე და ფრონტზე გასულ სხვათა შესახებ.

ნახვამდის ჩემო კარგებო.

გკოცნით და გკოცნით თქვენი კ ო ლ ი ა.

24. 1. 44 წ.

ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲝ!

28 მარტს დავტოვე მხარე რეზერვისა, სასეირნო ველ-მიდამონი... 29 მარტს ჩამაბარეს ნაწილი და 31-ს მივიღე პირველი ბრძოლა მტერთან ამ ტერიტორიაზე. ასეთი რამ ჯერ არ განმეცადა. გერმანელებმა ტანკებითა და თვითმფრინავებით სცადეს დაბრუნება გუშინწინდელი დანაკარგი ტერიტორიისა. პირდაპირ ჩემი ნაწილისკენ 18 ტანკი წამოვიდა კოლონად მოწყობილი. მოდიოდნენ თითქოს თავისუფლად და საზეიმო იერით. მე ჩემი მებრძოლები გავაფრთხილე — უკიდურეს შემთხვევაში გაუშვან ზურგში ტანკები, ფეხოსანთ კი მოჰკვეთონ ფეხი... ტანკებს ბრძოლის ველზე ჩვენს ქვეყანაში შესაფერი მასპინძელი ხვდება — განთქმული რუსული არტილერია; მტრის თვითმფრინავებს მეზენიტეები უმზადებენ პურ-მარილს. ასე, რომ — დაგვრჩენია ფეხოსანთ ვუძღვნათ შესაფერი ულუფა. ვერაფერმა გასტეხა ჩვენი წინააღმდეგობა და დილის 5 საათიდან დაწყებული ბრძოლა ნაშუადღევის 4 საათზე დისრულდა ჩვენი გამარჯვებით. მტერმა ჩემი სანგრების წინ დატოვა სამი გადამწვარი ტანკი (4-ოდე ტანკისტი ტყვედ ჩავიგდეთ). შვიდი კი უკანვე გაბიდ ბუქსირით მამაძაღლმა (დაზიანებულნი და ბრძოლისთვის უვარგისნი). ჩემს იმ ძველ ნაწილში — ასე დიდხანს წინათ რომ ვმსახურობდი, არ მქონია შემთხვევა შევხვედროდი მოწინააღმდეგის ტანკთ (ჭაობიანი ტერიტორია უშლიდა ხელს), აქ კი — ისინი მოდიოდნენ ბატებივით ჩამწკრივებული, ხშირად ციგერის ქუჩებში რომ მინახავს.

მხნედ ვარ, თუმცა საოცრად შეიცვალნენ ცხოვრების პირობები. მე ხომ უკანასკნელი 6 თვის მანძილზე ისევ მიეჩვიე მოქალაქეობრივ ცხოვრებას: კლუბს, თეატრს, გოგონებს, არაყს და სეირნობას. ახლა კი — ნესტიანი სანგრები; თოვლი ჯერაც ა[illegible] აიღო და დღეს, 3 აპრილს, ისეთი სიცივეა, ზამთრის დღეებმაც არ იცის ასე ჩვენში. შუადღისას მზის სითბო მიწას ალბობს და გვინგრევს ყინვაში ნაგებ ბინებს. რას იზამ... ომია და ყველაფერი უნდა აიტანო.

ჩვენგან დატყვევებული გერმანელები მშიშრულად გაპკიოდნენ: „ჰიტლერ კაპუტ", „მაინ ფატერ — რუს!" და სხვა ამგვარნი. ხელებსა კი ცას აბჯენდნენ — ეშინოდათ არ მოეკლათ.

ვცხოვრობ მხედრულად. ბინა ყუმბარებისგან დამიცავს, ხოლო ტყვიისა არც ისე მეშინია. მეც ბლომად მაქვს ისინი.

აქ მოსვლისთანავე წინა ხაზზე გავედი. იანვრის თვიდან ხელფასი არ მიმიღია (რეზერვში ყოფნისას). ფინ. განყოფილების უფროსთან შეხვედრის შემთხვევა არ მქონდა; მალე ატესტატის საქმეს გავაკეთებ. მაისიდან კი ახალი იქნება. მოიწერეთ მოსკოვიდან ფინსახკომმა გაცნობათ თუ არა რაიმე ჩემი განცხადების საფუძველზე.

ასე დედაჩემო! იყავი კარგად. ყოჩაღად დამხვდი, თორემ ჩვენი შეხვედრა ცუდი იქნება. შვილებზე დარდებით თუ თავს დაისუსტებ, ამით შვილებს ვერაფერს შესძენ, ცუდის გარდა. იყავი მხნედ და კარგად. ქეთუნია როგორ არის მისი ქმრით? მოიწერონ წერილი ყველამ. მოკითხვა ყველა ამხანაგთ, ნაცნობთ! მაცნობეთ ამხანაგების მისამართი. აბა თქვენ იცით.

გკოცნით და გკოცნით თქვენი კ ო ლ ი ა.

3. 4. 44 წ.

ჩემო სანატრელებო!

...ახლოვდება მძიმე დღეების ბოლო და რარიგ სანატრელი ხართ ჩემი კარგი თბილისითურთ!

მარო სვანეთშია? მისგან წერილი დიდი ხანია არ მახსოვს.

დამიკოცნეთ ანზორი და ნელი. მიუსალმეთ თქვენს კეთილთ, მეგობართ! იყავით მხნედ და კარგად!

გკოცნით და გკოცნით თქვენი ک ه ل ه ا.

6. 4. 44 ჭ.

ეს უკანასკნელი წერილი გამოგზავნილია დაღუპვის წინადღეს მისამართით: თბილისი, საქართველოს სსრ, ხვამლის № 14. დიდმ ივანეს ძე მარგიანს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ ი კ ო ლ ო ზ კ ო პ ა ლ ი ა ნ ი წინასიტყვა გიგა ყურაშვილისა . 3
მურის ციხე 9
...და დარჩა ხსოვნა 10
***იქნებ ვცდები... 11
მძიეები ერთი ლექსიდან 12
ნეტავ 12
მზად ვართ მუდამ... 13
საახალწლო ნერილი დედას 15
წიწამურთან 15
გახსოვს ის ღამე? 16
დილა ბანაკად 17
ასრულებულა მისი წადილი 18
შებინდებისას მგოსნის საფლავთან 19
ამბავი ერთი სადღეგრძელოსი 19
დედა ფრონტზეა, პატარავ! 20
ჩემს კომკავშირულ ბილეთს 21
ბელადის სურათთან 22
აკროსტიხი 23
ცხოვრება, თურმე, არ გინახია 24
მაინც ერთად ვართ... 25
გალაკტიონ ტაბიძეს 26
და ბოლოს შენთან 27
ოთარის 28
მე თვითონ მივალ! 29
დღიურებიდან 30
როგორ გიხმობდი, როგორ განატრობდი 32
ჩემო რძეტკბილო დედილო 32
ორი ლექსი დღიურიდან 35
დედი, იქნებ შენ გამაგებინო 37
სად ვარ? 38
ჩემო მაზარავ 40
ეპიტაფია 41

ფ რ ო ნ ტ უ ლ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი . . . . . 43.